



კვირა, დეკემბრის 9

ფასი 15 კაპ. ჩმრ.

1923 წ. — № 1

38/3



კ. შარჯანიშვილი.  
აკადემიური თეატრის ხელმძღვანე-  
ლი და მთავარი რეჟისორი.

## შინაარსი:

მთაური:	ა) განახლებულის ძალღონით	1
	ბ) უჩვეულო ზეიმი	"
	გ) კვლავ ჩვენი ჟურნალი	2
ნ. გვანცალაძე—ვენერა სდუმდა		2
ივ. გომართელი—პოეზიის გარშემო		3
კაიუს პელი—გამხდარი სიზმარი		"
ი. გრიშაშვილი—სომეხთა სევდა		4
ნარკანი—ხელოვნება ჩვენში		"
იოსებ იმედაშვილი—სვენავსი მწერალი—ალ. ყაზბეგი		5
ტრ. რამიშვილი—სიყვარულის საზღვართან, პიესა სამ მოქმედებად		"
პ. დ.—ჩვენი სახალხო თეატრი		7
მარიჯან—ძველ ლექსებიდან		9
აკაკი ფალავასთან—ინტერვიუ		"
ა. ციხისთავი—ლადო მესხიშვილი უკანასკნელად თავის სამშობლო ქ. თვ. ლავში		11
პრფ. მ. თაიძე—მხატვრობა		12
შ. ხპანიოლი—ქართული თეატრი რეცენზია: „ადამიანი-მასა	14—15	
კენტი—საბავშვო თეატრი.		
ამხანაფი—საზოგადოებრივი ცხოვრება—მ. ანთელავა		15
ბიბლიოგრაფია, ხელოვნების ქრონიკა,		—16

## „თეატრი და ცხოვრება“-ს ფონდისათვის

შეხარი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს განახლებას და მის გასაძლიერებელ ფონდისათვის შემომაქვს ამეფი ჟურნალის რედაქციაში ორი ჩერვონეცი და ვიწვევ სურვილისამებრ გულშემატკივარ ამხანაფებს: 1. ვუკოლ ბერიძეს. 2. პეტრე ზუმბაძეს. 3. გერმანე გოგიტიძეს. 4. დათიკო ჩიჩუას. 5. მიტროფანე და მიხაკო ლალიძეს. 6. 5რე სიხარულიძეს. 6. ბიძუ ბერიძეს. 7. მიშა აბაშიძეს და მთელ შემადგენლობას „ახალ წრე“-სთან არსებულ კოლექტივისას.

სიმონია ბერიძე.

ვწირავ განახლებულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს ფონდის გასაძლიერებლად ხუთ ოსმალურ ლირას და ვიწვევ მოქ. ვლადიმერ გოგის, ლაფრენტი ჯანაშიას და ტარასი ხაჭაპურიძეს მოიტანონ რედაქციაში თავისი შეწირულება.

ვ. ჩახავა.



1910-1923

წიგნი XIII

№ 1

შ ს ი ს კ. ჩ. რ. 3.

„თეატრი და ცხოვრება“

ყოველკვირეული სურათ-  
მიანი ჟურნალი

რედაქციის დრ. ბინა: რუსთაველის პრ.  
№ 10 (უბოშო, ომში დაპირითა შრ-  
მის არტელი, ახალი წრესი).

ფოსტით: ტფლისი. რედ. „თე-  
ატრი და ცხოვრება“

იოსებ იმედაშვილს.

თეატრი. პოეზია. მუსიკა. მხატვრობა. ქანდაკება. საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ.

კვირა, დეკემბრის 9

გამოცემა 1923 წ.

დეკემბრის 9

**განახლებულის** სწორედ ზღაპრულ ფასკულას  
**ქალღმერთი** მომავალს ხელოვნება, იმ ფას-  
კუნჯს, — მუდამ მზისკენ რო ზილტვის, რამდენიმე  
ასეული წლის შემდეგ, მზისთან მიახლოვებული, მის  
სხივებში ჩაიფერებოდა, რათა ხელახლად წარმოი-  
შვას.

და ახლად წარმოშობილმა ახალის ძალით,  
ახალის იერით, ისევე მზისკენ გაიქროლეს.

„ხმალი იმოდენს ვერას იქნს,

მრისხნე და ძლიერო,

რასაც იქნს მშვიდობიანი

კალმის პატარა წვერიო“, —

ეს კარგად ნათქვამია საერთოდ ხელოვნების  
შესახებ.

ხავსმოდებულ საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი  
ქვეყანა თუ გადაარჩა არა ერთსა და ორს მძლავრ  
ქარტახილს, ხელოვნებას უნდა ვუხადლოდეთ.

ჩვენი წარსული დროის ხელთქმნილი და ზე-  
შთავიგნებული შემოქმედების ძეგლი გზას გვიხს-  
ნიან სივლთაშორისო ოჯახისაკენ.

ასეთია ხელოვნების იდუმალი ძლიერება.

და, შეიძლება, ხელოვნებას არასოდეს ისეთი  
დიდი წინაშენლობა არა ჰქონოდეს ჩვენთვის, რო-  
გორც დღეს.

\*\*\*

მსოფლიო ომიანობა ფეიქვემ გათელა კაცო-  
ბრობის უკეთილშობილესი მცნება-თვისებანი: ძმო-  
ბა, სიყვარული, ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ა.

რეგულიოკამ ძირფესვიანად შეარყია ძველი  
შებენულება-ბრწაშის, საუტუნობით განმტკიცე-  
ბული ღირებულებანი.

ხდეა ყველაფრის ხელახალი გარდაფასება.

სული აღმართისა ეძიებს ახალ გზას, ახალ  
მცნებას, შინაგან არსებობის საზრდოს.

ყოველივე ეს კი შეუძლიან მოგვცეს ხელო-  
ვნებამ.

და, აი, ასეთ დროს უმოქმედობა დანაშაულია.  
იყო დრო, როდესაც ხელოვნება მხოლოდ  
სრა-სა-ახლეების კედლებ შინით მყოფთ ატკობდა.

დღეს-ესი ხელოვნების მომჯავოებელი სხივე-  
ბი ქობებს უნდა მიეფინოს, ქარხანასა და ველ-  
მინდვრებს.

ასეთი იყო მუდამ ჩვენი მრწანსი.

\*\*\*

ჩვენ მუშაობას ვიწყებთ იმ ხანაში, როდესაც  
ქართული ხელოვნების ყოველმა დარგმა ურთა უნდა  
შეისხას, განახლების გზაზე შესდგეს.

ფიქრობთ ჩვენი მკირდეი ძალღონით ხელი  
შევეწყით. იქრობთ თეატრსა და საზოგადოდ ხე-  
ლოვნების ყოველი დარგის ხალხში ფართოდ გავრცე-  
ლებას.

არა ნაკლებს ყურადღებით მოვეტყვიით უც-  
ხოეთისა და ჩვენის მეზობლების სათეატრო-სასა-  
ცენო ყოფა-ცხოვრებასაც.

მიძიებ ხეილო ჩვენი, ნაკისრი მოვალეობა... მა-  
გრამ რაედნად მიძიებ, იმდენად უფრო გატაცებუ-  
ლის ძალით ვებევიით მის უღელშო.

განახლებულ და გაოკეცებულ მუშაობის-  
კენ მოვეშობთ ხელოვნების ყველა დარგის უანგარო  
მუშაოთ ხალხის საზედინეროდ!

სალამი და გამარჯვება, ჩვენი მკითხველო!

**უჩვეულო** დღეს სახალხო თეატრი ზეიმობს  
**წიმიტ**. თავის 30 წ. ნამოღვაწეის თავს, მად-  
ლიერ მუშა-მშრომელ ხალხიგან დადაფნილი.

სახალხო თეატრმა ხალხი ახალ ცხოვრების  
საუღეველთ აზიარა.

განახლებულ არსებობის მიზნები დაუსახა.

ვაადგია მებრძოლი სული, ხალხისსურთი გრძნო-  
ბანი, საერთაშორისო მისწრაფებანი.

სახალხო თეატრმა ამ 30 წლის განმავლობაში  
ბევრი ჭაპანი სუყვიტა, ბევრი დაბრკოლება ნახა,  
მაგრამ ერთხელევე გულში ამოკლილი მიზნისთვის  
არ უღალატნია.

ეს მიზანი იყო ხელოვნების საშუალებით ხალ-  
ხის ზემოზრთ-გონებრივი ამაღლება და საზოგადო-  
ებრივი გათვითცობიერება, მასში სიყვარულის,  
მშენიერების და ზეკაცობის მცნებათა შთანერგვა.



მისი მიზანძვით არა ერთი და ორი სათეატრო ჯგუფი გაჩნდა ტფილისისა თუ დაბა-ქალაქში.

ამიერიდან სახალხო თეატრის ასპარეზი კიდევ უფრო უნდა გაუვართოვდეს.

სახალხო თეატრის დროში მთელს საქართველოში უნდა აფრიალდეს,—ყველგან, სადაც კი ქართული მეტყველება, ქართული გაგონებაა.

ამისთვის უნდა მოწვეულ იქნეს სრულიად საქართველოს სახალხო თეატრთა სცენისმოყვარე—მოღვაწე მუშაკთა ყროლობა.

### კვლავ „ჩვენი თურნალი“

დღეიდან იწყებს კვლავ გამოსვლას ჩვენი თურნალი.

განახლებული სახით, საცმეო ტრადიციით წელგამაგრებული იგი უბრუნდება თავის ნაცად გზას—ფართო მშრომელ მასსების გონებრივთა ვათიეთნობიერებას და აართულ კულტურის კერის გაღვივებას.

და ესაა, განაღდება და გ მართლება იმ სურვილებსა და იმედებსა, რომელიც აღგვზნებდა კვლავ მისი გამოსვლით ქართველი მშრომელი ხალხის გულში, ჩვენი თურნალის მიზანსა და მისწრაფებას შეადგენს. ჩვენი მიზანი-კი იგივეა:—მუდამ ელვარე, მიმოიღველი და დამატყვებელია, —ნელი ნელ, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით ასვლა იმ მწვერვლებზე, საიდანაც მენკერიება და ხელოვნება შექსა ჰყვენს მთელს სამყაროს...

ამირანმა რომ ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა, ეს მიზანიც მაშინ ჩაისახა კაცობრიობის გულსა და გონებაში... და სანამ იარსებებს ადამიანი მტოლვა სულიერ და გონებრივ ამალღებისაკენ, სანამ დაუშრეტელ წყაროდ იმდნარებს მის გულში სურვილი განკაცებისა და გაღმერთკაცებისა, ეს მიზანიც წარუშლელი და უჩველავი იქნება...

ამ მხრივ მიზანი მეტისმეტად რთულია და მისი საბოლოო ხაზმოსამაც შეუძლებელია. მაგრამ სწრაფვა მისადმი, სამსახური მისადმი, რაც იმავე დროს მასულდგმულბეელი და შინაარსის მიმცემია კულტურულ კაცობრიობის ცხოვრებისათვის, გარდა იმისა რომ სავალდებულოა, სანუყვარიც გარდა ჩვენს სიამოვნებით ვღებულობთ ამ ტვირთს.



### ვენერა სღუმდა

სათნობის გამომხატველი ჩუქურთმა უკვე დაკარული ჰქონდა, რომ მოქანდაკე სათუთ გრძობებს ამეტყველებდა.

ვენერაც გრძობდა თვის დიდება-მშვენიერებას და მთელ სამყაროს შეგზარდა ნაზი ღიმილით.

ხელოვნების ერთგული მონა აღტაცებას მოქალაქეს უზიარებდა:

— შენ რალას იტყვი, მეგობარო, როგორ მოგწონს ეს ქანდაკება?

— ძვირფასი ქება, მაგისტანა მარმარილოს რომში კაცი ძნელად შესვლება!

ყოლობამ უნდა გამოიმუშავოს საერთო წესი და გეგმა, თუ რა გზით ემსახუროს სახალხო თეატრით მთელი ხალხისა—მუშა გლეხთა წინსვლას საქმეს.

და ეს კიდევ უფრო გააზარწყინებებს სახალხო თეატრის დღევანდელ ზეინს დიდებმა სახალხო თეატრს!

დიდება, ვინც ამ საქმის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ზღ დღეს კი ვედარ სტკემა თავისი ნამამდარით!

სალამი და გამარჯვება მის დღევანდელ უანგარო მუშაკთ!

ამ ფრიად ძნელ და საპასუხისმგებლო მოვალეობის პირითლად შესსარულელად ჩვენი „თეატრი და ცხოვრება“ შემოიკრებს თავის გარშემო ყველა იმ ძალბებს, რომელნიც შემგრძნობნი და გამომხატველნი არიან ქართული ეროვნული კულტურის რაობისა, რომელნიც ხალასი, დახეწილი და ხალხის გულიდან გამოსული მშოალიური სიტყვით შეაჩათებენ თავის გონებაში და მით ხელს შეუწყობენ მისი გონებრივი ჰორიზონტის გაშლას და გაუართობებს...

ამიტომ, ჩვენი თურნალის გამოცემით, ვემსახურებით რა მშრომელი ხალხის შეგზარდასა და სულიერი გამოუზიზღების საქმეს, მთელს ჩვენს იმედებს ამავე ხალხის დახმარებასა და თანაგრძნობაზე ვმყობით...

ხალხმა უნდა შევიდრომოს, მიიღოს და შეიტკებოს იგი. ყოველი მშრომელი ქართველი თავისად უნდა სთვლიდეს მას; ელოდეს და აღტაცებით ხედებოდეს ამოახლით: „ჩვენი თურნალი“

ამიტოვე იქნება მიმართული მთელი ჩვენი გულისყური და ამისთვის იქნება წარმოებული ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა...

ქართველ მეითველს და მწერლს, რომელიც ვულისხმირავდ შეზღებდა ამდენი ხნის შეჩერების შემდეგ ჩვენ მიერ მისკენ გადაგმულ ნაბიჯს და გამოგვეწვიდს მხურვალე თანაგრძნობის და დახმარების ხელს, ვულოცავთ და ვუძღვნით ჩვენი განახლებული თურნალი ამ პარველ წინემკს.

ვენერამ უტბად ამ სიტყვებზე ღიმი შესწვით და მოქანდაკემ იარალი იქვე დაჰყარა.

წარვიდნენ წელნი. ცოდვიანმა ჩვენმა პლანეტამ თავის მბრძანებელს გარემოში ბევრი უზმინა.

ახალი ხალხით შეაცვალა კამიზი, კიარი და ტყეოქმა მინოტავრი დაიმორჩილა... მაგრამ ვენერა?...

ახალს რას იტყვია, ხელოვნების ნაზო ქურუმო? ვენერა სღუმდა.

ნიკ: გვანცალაძე.



# პოეზიის გარეშე

აპოლოლო და დიონისო ორი სახეა უკვდავი, მარად ბრწყინვალე და მარად ჰაბუკი ხელოვნებისა-ხელოვნება შვილია თავისი დროისა და ის მუდმივ განიცდის ანა თუ იმ გადუნებას. მე არა მშაშს უმიზნო ხელოვნება; ვიტყვი მეტსაც—არ არსებობს სრულებით უმიზნო ხელოვნება. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ისტორიულსა და საზოგადოებრივს პირობებში ხელოვნების მიზანი სხვადასხვა არის, მაგრამ საც არ არის აპოლოლო და დიონისო, იქ ხელოვნება არ არის და ვერავითარი მიზანი, რაგინდ დიადიც იყოს, მას ვერ გაამართლებს.

ხელოვნების ერთი დარგი—პოეზია ჰველადან-ვე განვითარდა ჩვენში. ქრთეელა: ხალხა უალრესად პოეტური შემოქმედების ხალხია. ჩვენმა ძველმა პოეზიამ კარვად იცოდა, რა ეკუთვნოდა კეისარს და რა—ღმერთს.

მასა ჰქონდა საზოგადოებრივი მიზანი, მაგრამ ის იყო გამსჭვალული აპოლოლოს სიბრძნითა და მშვენიერებით, დიონისოს სიხალისითა და გატაცებით.

განა „ვეფხისტყაოსან“-ში არ არის ჩამოსხმული მძიმე ბრინჯაოში საზოგადოებრივი იდეალი? მაგრამ იქ არის აპოლოლოც, დიონისოც.

შემდეგ და შემდეგ ღუბუბი ბედის წყალობით ჩვენმა პოეზია ასცდა ამ გზას. წარსულ საუკუნეში ხომ ის გადიქა ერთ ღიდ ეროვნულ გოდებათ და ცრემლებმა აპოლოლოს მშვენიერება ჩამორცხა, გლოვის რკამე დიონისოს მზიური სიმღერა დაჰყარა. ლექსში ოლონდ სამშობლო ჰყოფილიყო და მევის წყობილების ამსახველი ზამთარი ან ტარტაროზი, და საზოგადოება აღურთოვანებულ იყო. რა თქმა უნდა, ასეთ მიმართულებას ჰქონდა თავისი გაპართეობა, ის აუტოლებელიც იყო, მაგრამ პოეზია იქ ცოტა იყო.

ილია, აკაკი, ვეა? დიდი მგონებში არიან მხოლოდ იმის გამო, რომ ცრემლისა და გოდებაში აპოლოლო და დიონისო არ ჩააღრჩეს.

მეოცე საუკუნე უსათუოდ არის რენესანსი ჩვენი პოეზიისა: აზრი ახალი, ფორმა ახალი; გადაფასება ძველისა და ახალის ძიება.

ესიფერი ყანწელები მართალი არიან: პოლიტიკურს და სოციალურ რევიოლუციებზე აღრე ჩვენს პოეზიაში მოხდა რევიოლუცია.

ხშირად ვაივანებთ: მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, თუ რაზედა სწერენ, არამედ იმას, თუ როგორა სწერენო.

სიყალბე! ორივესა აქვს ერთგვარი ღირებულება ტ მნიშვნელობა: რასა სწერენ და როგორა სწერენ.

არც ერთი, არც მეორე დღეს აღარ არის ხალასი ნიჭის საქმე.

უნიჭოთა პოეზია არ იქნება, მაგრამ მარტო ნიჭი დღევანდელი პოეზიის ტვირთს ვერა ჰპირდავს. საპირთა ნიჭთან ერთად ინტელიგენტობა.

შესაძლოა, ზოგიერთმა ვერ გამოიგოს და აქვე განვმარტავ: ინტელიგენტობა იგივე ცოდნაა, განვითარება.

ამ მიზეზით შეიძლება უბრალო მუშა უფრო ინტელიგენტი იყოს, ვიდრე დიპლომაინი.

კითხვა რომ ვინმემ დააყენოს: დიდი ნიჭი და პატარა ცოდნა, თუ პატარა ნიჭი და დიდი ცოდნა, მეორეს ვამჯობინებ.

ასეთია ჩვენი დრო. დღეს არის გატაცება პროლეტარული პოეზიით.

მე მინდა მისი აყვავება,...

ჩვენი პოეზიისათვის ახალი ხანა დაიწყო. მრავალი მოწვეული, მაგრამ მცირე იქნება არჩეული. მით უკეთესი ხელოვნებისათვის.

ივ. გამართელი.



## გამხდარი სიზმარი

როდესაც შევინწინე, რომ მთაზე ჩემი კერპი აღარ იყო, მაშინ ვიკარქენ შეშოღდომის სიახლოვე. დასუსტული, გაპარკული დღეები. ტირილი. მოთქმა. ვაება. ტირილი... და ცრემლების ნაკადი ძველ დატანგებულ საკურთხეველას წინ.

სად?! საით?! ვინ?!

მინდა ზარს ჩამოვრეკო. და გლოვის ხმა ქარის ფრთებს ვავატანო ქვეყნის საცნობლად.

მინდა მსოფლიო ათრთოლდეს. და ამ თრთოლვაში მე ვიყო დამნაშავე.

სად?! საით?! ვინ?!

ღეგინდას დაერქმევა გამხდარი სიზმარი. და ჩემი სული გადირეკს უჩვეულ სულებს.

სად?! საით?! ვინ?!

თუ გლოვის ხმა ჩემი კერპის მთამაც ვერ, აიტანა, მაშინ დეე აღმოხდეს მას დღარულ გულიდან ნღველი, რომ

წალკოს ცოდვით სავეე ქვეყანა. და კერპთან ერთად გაქრეს ჩემი ფერფლიც.

სად?! საით?! ვინ?!

უკანასკნელად ჩამოვრეკე ზარს.

კაიუს პელი.





# სომეხთა სეკდა

ოვ. თუმანიანი.

სომეხთა სეკდა—ზღვა უნაპრო.  
ტ ლა აშლილი და მოგროვილი.  
სული და ძებს ცისფერ საფარონს,  
იწვის კ ეწმით მოოქრავილი.

ხან აღელდება. სა უთარ სულში  
ძებს ვასაქანს და აღთქმულ კიდეს;  
ხან მოქანცული ჩადის უფსკრულში  
და ეხუტება ზღვაურ სიმწვიდეს.

მაგრამ ამ ლტოლვას არა აქვს ბოლო;  
არ სჩანს ნაპირი და არც ზღვის ფსკერი.  
და სცოცხლობს ტანჯვით, რომ კვლავ იბრძოდოს  
უსაზღვრო სევდით ვადანაფერი.



## ხელოვნება ჩვენში

ქვეყნის მშენებებს, მის სულიერ საუნჯეს ხელოვნება წარმოადგენს. ხელოვნება უაღრესი საზომია ერის კულტურისა, მაჩვენებელი მისი ეკონომიური და ფიზიკური დონისა, გამომთქმელია მისი სულის სიღრმისა, ამსახველი მისი შემოქმედების ფრთავალილობისა.

სადაც ხელოვნება მიმკვდარებულია, იქ სიცოცხლის მაჯაც დუნეთ სცემს, სადაც ხელოვნება დაქვიციებულია, იქ ცხოვრების სინამდვილაც საბედისწერიით სულსა ჰღაფავს.

ხელოვნება ის ჯადოსნური სარკეა, რომელიც უნაკლოთ ასახავს ადამიანისა, ერის, თუ კაცობრიობის ყოველ ვანცდას, ყოველ სწრაფვას, ყოველ ძლიერ ვარდატებას წარსულსა თუ აწმყონში.

ხელოვნება ცხოვრების სინამდვილის გაუკვდავებაა, მისი შელამაზება, მისი ყოველდღიური ფრთხილის შეფერადება, მისი მედვარი სულის ქანდაკური სახიერება; იგი არის მუსიკალურ ბგერათა შეხმატებლება და თუ გნებავთ დისონანსთა თუ ასონანსთა ჰარმონიული კურა.

კასთული მწერლობაა, ხუროთმოძღვრება, მუსიკა თუ ქანდაკება, დრამა თუ მხატვრობა—ყოველი დარგის ხელოვნურ ნაწარმოებს სამი გარდუვალი თვისება ახლავს: დედა აზრი, გარეგანი ჩამოქნილობა და გადმოცემის ელფერი.

ხელოვნების სავანეა და დედააზრიც ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ცხოვრების სინამდვილე და, მით უმეტეს, როგორც ადამიანის სულიერი განცდანი. ცხოვრების სინამდვილე და მისი შესაფერი ხელონერი განცდა აუცილებელი ორეულია.

ამისათვისაც ხელოვნება შეიძლება იყოს კლასიურიც, ხე-კლასიურიც, პარტიულიც, ზე-პარტიულიც.

ლიც, პროლეტარულიც, გლეხურიც, არისტოკრატიულიც, დემოკრატიულიც.

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საგანი, რა შინაარსი და დედააზრი არის ჩაქსოვილი ხელოვნურ ნაწარმოებში, რა ცხოვრების ქარგაზე ნაკერი მისი სახიობა, რა წრეში და გარემოებაშია აღზრდილი თვითონ ქურუნი ხელოვნებისა.

დუმცა უმაღლესი ხელოვნება უფრო ზოგადია, ყველასთვის მისაწვდენი, ყველასთვის სისხლისისა და სიამის მგვრელი, ყოვლას გოლის მომეჯადოებელი, ყველას გონების წამბაქატი.

ხელოვნური ნაწარმოების გარეგანი ჩამოქნილობა ბუნებრივის აუცილებლობით იმ ფარგლით ისაზღვრება, სადაც მისი შემოქმედი ტრიალებს, როდეს ენაზედაც იკა აღზრდილა და რომეოი ხალხისათვისაც იგი სწერს.

ეს ითქმის განსაკუთრებით კაზმულ მწერლობაზე. განსხვავებულ მდგომარეობაშია სახიერებით ხელოვნება (მხატვრობა, ქანდაკება).

ეს ეტება არა მარტო ენას, არამედ ნიშანდობლივ თვისებას ენის მიმოხერისას, ხალხის ზნე ჩვეულებას, სხეულისა თუ სულის სილამაზეს, ცხოვრების პირწვარდნილ მდგომარეობას, თუ არსებულ სინამდვილის შელამაზებას ამ დონემდე, რომ არ იკარგებოდეს დედანის მოთვლილია.

ამ სახით გარეგანი სახეობა ხელოვნური ნაწარმოებისა თავისი ბუნებით ეროვნულია.

უმთავრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ხელოვნურ ნაწარმოების სრულყოფაში ეკუთვნის აზრის სიღრმეს, კაცობრიულ მნიშვნელობას და გადმოცემის ელფერს.

თუ მოქანდაკეს უმტყუნა მაჯამ, თუ მხატვარმა ვერ მიავრა შემზრუნელ ფერადების აელვაკრებას, თუ მგონასა რკინის ჯჯუქით არ გამოეკერა ყოველი ასახული გმირის სულიერი ზღვაობა, თუ ხუროთმოძღვარმა ურღვევი დღვალით არ ვადასქუდა შენობის თალი,—ყოველისფერი ფუქას ჩაივლის, ხელში შეგვრება მხოლოდ უსუსური ცდა მილწევისა, შეგვრება მხოლოდ სიბრალულისა და დანების გრძობა ბედგაუთიშარ ხელოვნის მიმართ.

ყოველი აზრი, ყოველი განცდა, ყოველი შეგრძნება თუ ნივთი შეიძლება ვახდეს ხელოვნების სავანე.

მაგრამ საქმე ისაა, თუ ეს საგანი რაოდენად არის ზოგადი, კაცობრიული, რა აზრისა და განცდის გადმოცემა ნაწარმოები, რამდენად ნიშანდობლივია და ძლიერი მისი ვასახება.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ დახელოვნებულმა მხატვარმა ვასაქარის ისტატობითა და ფერადთა შეზავებით დახატა მოკაწყულად ქუჩის ის ადგილი, სადაც ერთი ქვა ამოვარდნილა და ეს სურათი ისეთის სიძლიერით და სიცოცხლით არის გადმოცემული, რომ მიმავალი ადამიანი ფეხს არიდებს ქვას.

რამდენად არის აქ გამართლებული ხელოვნების დანიშნულება და მიზანი?

ამ მარტყესა და იმავე დროს რთული საკითხის შესახებ მოვილაპარაკოთ შემდეგ ნომერში.



# სენაფსი მწერალი

ხევის ბატონის გავლენიან ოჯახში დაიბადა, დიდრაჯულად ზრდიდნენ, საგანგებოდ ასწავლიდნენ, „საიდიაკოვ“ ამზადებდნენ, მაგრამ მან სიყრმიდანვე მდაბიო ხალხის ოფლით სწრაფად ისურვა და მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრების მწარე ამბავით გული დაიკემსა.



ა. ლ. შ ა ზ ბ ა ზ ი  
(1847—1893)

ყაზბეგის მთის მწვერვალს მოსწყდა, შორს დაექანა, რომ თვისი ველური, შუტყუნველი რწმენით, რაინდული გატაცებით ბარგლნი თვის განცდათათვის ეზიარებინა...

მაგრამ ვერ მიუხედავად: იმას, ვინც შემოქმედების ცეცხლით იწვოდა, იმას ვინც ქვეყნის სივრცე-ვარამი თავის გულის ძაფით ჩამოჰქნა, ვინც გრძობა-ბათა კოცონი ავგინებდა, — გულცივად შეხედენ.

— ბედოვლათია, მამა-პაპეული დოვლათი გაფლანგაო!

— დიდი გვარიშვილმა იჯარადრობა დაიწყო

## ტრ. რამიშვილი.

# სიყვარულის საზღვართან

პიესა სამ მოქმედებით.

### მოქმედენი:

- გიორგი ერეკლიძე
- ელაზიდა — ცოლი მისი
- ხალომა — დედა ელპიდასი
- მერიკო — დისწული ელპიდასი
- ლენა
- შერმანდო ხართანიძე
- ელიშერ მამრამე
- ვ. ლიკო ელვაძე
- მეზობელიანთ მეღანო
- ვახაწავი, 3 წლისა, გიორგის და ელპიდასი ვაჟი.

### მოქმედება პირველი

სცენა: ვეროპოლიად მორთული ოთახი, როიალით, სამი კარია: მარჯვნივ, მარცხნივ და პირდაპირ, შუაში, რომელიც გადის დერეფანში. აქ კარების აქეთ-იქეთ თითო ფანჯარაა. ფარდის ახლისას სცენაზე არაფერ არის, მცირე პაუზის შემდეგ მარჯვნივ კარებ დან გამოდის მერიკო, ყდიანი წიგნით ხელში, შივა შუა კარებთან და ექანის

— ფუქსავატია, სულელი, ბეცი, ჩერჩერიო!  
— თვითონ რა არის, სხვას რას ასწავლოსო!  
და არც თეატრმა შეიწყნარა, რომელიც იმ დროს უმეტესად სეე-დანავსულთა ნავთსაყუდარი იყო.

— მსახიობად არ ვარგებია! ჩაჩურადა-კი, — რამდენიც გინდა იცევე ხანჯლებზე. მაგით თეატრში ხალხს მოვიზიდავთო.

არც დრამატურგად იცნეს და პი პიესამდე უკან დაუბრუნეს.

სეე უყურებდა ეგრედწოდებული „ინტელიგენცია“, იმ დროს რომ საზოგადოებრივ შეხედულებას აკახებდა.

ამ „ინტელიგენციამ“ პირველხანად არც მწერლად იცნო, — მხოლოდ მდაბიო ხალხმა შეიგნო თვისი ჯაღო-შემომქმედი და წყურვილით დაეწაუა „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“.

და იქნება ესეც იყო მიზეზი, ანუ გაზიების უმასალობა, რომ იმ დროს მართლა და კეთილშობილი რთმატორი ივ. შაჩაბელი, გაზეთის ფურცლებს უთმობდა ფელეტონი დაკვიწვრით.

და მეორე მხრივ — მუშა მკითხველის თხოვნა: „ასეთი ამბები ხშირად დაგვიწერე“, ანუ — „ელგუჯას ასე დარე ნუ მოჰკლავთ“ და სხვ.

დიად, მეტეორივით გამოიჭრა, ჩვენს შავი ცხოვრების ცაზე, ნაიელი ზოლი გაავლო და საგოქოში დღლია ნაწამები სული, რომ შემდეგ ახალი ლეგენდარული სიკაცხლე დაეწყო შთამომავლობის ხსოვნაში.

**მერიკო.** ელო, ელო! (შუა კარებს დერეფნიდან მოადგება ელო) აი, როგორც იყო, ვიპოვნე. ელო, თუ გიყვარდნე არ გააუტყუიანო და წაიკითხო თუ არა — დაგვიბრუნე, ხომ იცი რა ფაქიზი კაცია ძია გიორგი. (უცნობი ქალი რაღაცას ჩუმად ეტყვის და მიდის).

**მერ.** (მივა) როიალითან, უწყისრიგით მიყრილ-მოყრილ ნოტებს ერთი მეორეზე აწყობს, ეტყერკაზე შემოსდებს და უეცრივ უშივე, კინალამ დაშვიწყდა! (საჩქაროდ გადის შუა კარებში, იმავე დროს მარცხენა კარებიდან გამოიღინა: ელიზა — სადა შინაურ ტანისამოსში და გიორგი — შნოიან ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილი).

**გიორ.** (გამოიღაპარაკებს. ხელში უქიარავს შერმანდის მეორე წიგნი) შედეგია, შედეგია! ერთი სიტყვით; შერმანდო ამჟამად ცენტრია საზოგადოებრივი ყურადღებისა. დიდად მიხარის, რომ რვა თვის ნაცნობობის შემდეგ ასე დაგვიახლოვდა და შეგითვისა. როგორც მახსოვს (წიგნს მაგიდაზე დასდებს) ჩვენს მეგობრობას კონსერვატორიაში ჩაეყარა სადუქმელი სიმფონიურ საღამოზე. შენმა მუსიკალურმა ნიჭმა, სხვებთან ერთად ისიც მოაჯადოვა. თუ არა ვსცდები, ჯერ მგონი, შენ გინახულა კულისებში. მერე, როცა ვაივო მეც იქ ვიყავი,



ასეთი იყო ალ. ყაზბეგი, ა. მოხზუბარიძე, იგივე მოხევე, 30 წინად (1893 წ. 10 XII) მახვილის სახელობის საიკეთეოში გარდაცვლილი, სინდისნა-ქინჯმა ქართველმა საზოგადოებამ რომ მთისკენ გაასვენა დიდებით, თითქოს იმ რწმენით, რომ ჩვენნი მთის ლალ შეილებს—თუშ ფშავ-მოხევე ხევსურებს გულში ღრმად ჩსკედლით თვისი სახსურკარი შეილის მცნებანი?

რა იყო მისი მცნებანი?

თავისუფლების სიყვარული, ხალხის ნებისყოფის ხელშეუხებლობა, მოძმეთათვის თავდადება, თავისი რწმენისათვის შეუღრეკელი ბრძოლა და რწმენა, რომ:

„ქლდეს ვახერცეს წვეთი, თუ მუღამ ერთ ადგილს დედინება!“

\*\*\*

დიდმა მხატვარმა მგზნებარე გრძობით და მომხიბლავ სურათებით ახატა საქართველოს მე 19 საუკუნის დასაწყისის ტკივლები, ის ხანა, როცა უცხო ძალამ—ძველი თვითმპყრობელ რუსეთის უხეშმა ქუსლმა გაქელა ადგილობრივი ადათები ზნე-ჩვეულებანი, თემური წყობილება—შეხედულე-ბანი... გვიჩვენა, როგორ ჰხდებოდა ძველის რღვევა და ახლის თანდათან დამკვიდრება და სხ...

და ამ დიდ მწერალს ნავის დაჰყვა.

თუმცა იგი თავის ცეცხლის მომდებ მოთხრობებს ხშირად სტამბაში სწერდა, ანუ რედაქციაში, ისე, რომ დანაწერს თვალს არც კი გადაავლებდა პირდაპირ ასოთ-ამწყობს გადასცემდა ხოლმე, ასაწ-

ყოზად მაინც შემდეგში ეპვით დაუწევს ცქერა: ეგ არ არის მოთხრობათა ავტორიო.

იმ დროის კაცუნებმა, მდაბიო მოქალაქურ სულით გაედუნთილენმა ვერ შეიცივნეს ხელოვანის ორსახეობა და უშუალო ქმედობა.

არა თუ შეიგნეს და თვისი სიყვარულით გაათბეს,—ორ გზის საიკეთეოვაც ჩასვეს.

წინ იტის, იქნებ უსაბუთოთაც.

ჩვენ 12—13 წლის წინად ხელში ჩაგვცვარდა ერთი ბარათი, თვით ალ. ყაზბეგის მიერ ხელმოწერილი, რომელშიაც აი რა ეწერა:

„ძამო ანტონ, ისევე შენ თუ ვასსოვარ, ერთი პაპიროზი გამომიგზავნე. თვით თუ ეუბნება საიკეთეოში ჩამავდეს—სულელი ხარო. როდემდე უნდა ვიჯდე აქა. შენი სინდრო“. ამ ბარათს მეორე მხრიდან ეწერა: „ასტ ფურ“ (ანტონ ფურცელაძეს). \*

დღეს, როდესაც 30 წ. შესრულდა, რაც ეს სულმნათი მწერალი ნემსტით მთის მოზობლიურ მიწის წიაღში განისვენებს, ხოლო სულით—მთელი ქართველი ერის გულში, მწერალი, რომელიც სამშობლო მწერლობას მხიურ შარავანდელით ჰოსასეს, თვით უზღებ დანისლულია.

საკირაო ერთხელ და სამუდამოდ განიზნის ცრუმეტყველთაგან მისი თვითმყიდობის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება.

\* ეს ბარათი დამწერილი იყო ქინჯინს ს თუ სხვა წამლის სახევე ქვალაძეს ვერ ჩაუვიანმა 1909 თუ 1910 წ., „სინდრო ყაზბეგის არისო“, 1910 წ., დანდამგება რომ გამწბრივს, სხვა შრავალ ხელთაწერთან ერთად ეს ბარათიც საღლად გაქრა.

o. — o.

გამეცნო და მომილოცა მეუღლის გამარჯვება. ბევრი თბილი სიტყვების შემდეგ დავშორდი ერთმანეთს. მეორე თუ მესამე დღეს გვეწვია ოჯახში, რომელიც მას ამჟამად ასე ძლიერ უყვარს. (მთელი ამ დილოგის წარმოთქმის დროს დრო და დრო ცოლს გადახედავს, რაღაც ორპაზროვნად და სახეზედაც გამოუტრთის წყენა-ნარევი ოდნავი ირონია, ცოლი თვალს არიდებს. ამ დროს დერეფანში ზარჯევი მხრინდა მოისინის მერიკოს შემდეგი სიტყვები: „მოიცა გიყო, რაკი ხელში ჩამივარდი, ვერსად გამიქციე“. მოადგება შუა კარებს, ხელში უჭირავს 3 წლის ვახტანგი, ამათი წვილი. ვახტანგი ფეხშიშველია, აცვია შავი მოკლე შარვალი და უქამრო მოწითალო ბლუზა. თავზე კი თუშური ქუდი).

**მერ.** ამა ეხლა წარუდგეთ მსაჯულებს. (ნიმთ) დილას აქეთ ეს მესამეგვრე გამეპარა ქუჩაში, ძლივს დავიჭირე. რაღაც ბედზე რომ არ მიმესწრო, ის იყო ტელეგრაფის ბოძს უნდა დასუსტებოყო შუალით.

**გიორ.** (ვახტანგს დიმილით) შენ, ეი, ამახანავ, რა ძალიან თავხედობ! ხომ არ გინდა წაგითაყო?

**ელმ.** ფუ, სახეც როგორ მოუთხუპნია! (მერიკოს) წაიყვა, თუ ხათრი გაქვს, და პირი მოჰბანე. (მერიკოს გაჰყავს).

**გიორ.** (საათს დახედავს) ოჰო, წასვლის დროა.

**ელმ.** მალე დაბრუნდები?

**გიორ.** არ ვიცი,—მერე რა?

**ელმ.** მინდა ერთ ფრადე საჭირო საქმეზე მოგვალ-პარაკო, სხვათა შორის დღეს ჩვენსა შერმან-დოცო მოვა.

**გიორ.** მართლა?

**ელმ.** ჰო.

**გიორ.** შენ ეს საიდან იცი?

**ელმ.** მერიკოს შეხვედროდა გზაში და იმისათვის დედაბარებინა.

**გიორ.** კეთილი, კეთილი. მაშ მივიდვიარ. (გაიწვეს მისკენ საკოცნელად).

**ელმ.** (უკან დაიხევის და პირსაც იქით მიიბრუნებს)

**გიორ.** (გაოცებული) ეს რას ნიშნავს?

**ელმ.** არაფერი იმის მერტს რაში... არ შეიძლება აღამიანი მუღამ ალერსის გუნებაზე იყოს.

**გიორ.** (ორპაზროვნად ჩაუკინებს მხოლოდ სწრაფად და ოდნავ უკაცრავად, უკაცრავად.. საინტერესოა ვიცოდე, როდის აქეთ ვახვი ჩემს მიმართ ასეთი მომპირნე. როგორც მახსოვს, წინეთ სულ სხვა იყო, მაგრამ არაფერია, ავიტ-ტავ, ოღონდ ეს არ იყოს უფრო ცუდის წინაპირობედი... (უფეროდ) მაშ დღეს შენ გინდა რაღაც დიდი რამ მიიხზრა, არა?

**ელმ.** დიახ.



ეს ერთი. მეორე—მთელი მისი ნაწერები, ვარდა იმი-სა რომ ტომებად გამოვა, თითოეული მოთხრობა ცალკაულ უნდა გამოვიდეს იაფად თუნდა ასერი სათაურით: „აღ. ყახუაგის მიბლიოთეკა“, რათა მოზარდი თაობა და ხელმოკლე ხალხი ხარბად დაე-წაფოს.

მაშინ მისი შემოქმედება ერთი ასად ინაყო-ფიერებს.

იოხებ იმედაშვილი.

## ჩვენის სახალხო თეატრი

დღეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დიდი საზეიმო დღე არის. ხალხის მიერ შექმნილ, მუშათა მიერ გამოზარდილსა და ფართო მასისათვის გულგადაღმლილ სახალხო თეატრს 30 წელიწადი შეუსრულდა.

მუშათა უბანში ჩაისახა იგი იმ დროს, როდესაც მეფის სასტიკი რეაქციით ყოველი ცოცხალი სიტყვა დევნილი იყო. მუჭებმა შექმნეს იგი იმ დროს, როდესაც ყოველი ნაბიჯი მომკეთა კულტურული განვითარებისათვის შუგ საშოშვე იღრჩობიდან ხოლ-მე და გულცივობის ზვიად კედელს ენარცებოდა. მუშებმა გადაისროლეს მისი სხივები ქალაქის მიდამოებში და, როცა ირგავი მღვთარება იყო მხოლოდ გაუმეფებელი, ამ დღიბი აუღივრობიდან ის-მოდა გამამხნეველი ხმა, მოწოდება ბრძოლისათვის.

**გოტ.** არ შეიძლება ეხლა?

**ელა.** არა, მერე იყოს,

**გოტ.** იმდენად დამანტიერესე, რომ ვიცდები მართლაც მალე დაგებრუნდ. იმიდის, კარებიდან უკან მოიხედავს და მზრების აწვივით გადის).

**მერ.** (შემოდის შუა კარებიდან).

**ელა.** ბავში სად არის?

**მერ.** პირი დავბანე და ეხოში გავისტურე ტოლბთან, დედა ანიკო გამომიხმახა ელკიდასთან საჭირო საქმე მაქვს და მნახოსო.

**ელა.** კარგი, წავალ. თუ შერმანდო მოვიდეს—მოა-დღვიე, მალე დაგებრუნდები. დედა სად არის?

**მერ.** მამადავითი წირვაზე,

**ელა.** პო მართლა, დღეს ხომ კირაა. (გადის შუა კარებში, მერიკო კი მარჯვნივ. მალე გამოვა, მაკიდაზე შეამჩნევს შერმანდოს თხოვრებას, იღებს, გადაფურცებს და ნახში ღმირით თავისთვის კითხულობს ფხზედგომით. დაი-რეკება ზარი, წავით ხელში გადის და შერმანდოს შემოუძვება).

**შერმ.** (შემოილაპარაკებს) სად არიან თქვენები?

**მერ.** გოტოგი ეხლა გავიდა სახლიდან, დედა კი აგერ გახლავთ მეზობლისა. გთხოვთ დაუტყა-დოთ.

**შერმ.** ძალიან კარგი, ჩემო მერიკო, ძალიან კარგი.

აქვალის ქუჩა, ჩელურეთი, ავლაბარი, რკინის-გზელთა უბანი, ვერა და, დასასრულ, ყველანი ერთად თავმოყრილი თუკე მოწყობილს და ფართო სახალხო სახლში. იოლად ითქვის, მაგრამ არც ასე იოლი არის განვლილი გზა—გზა გავიარებისა, სი-ლატაკისა, უმიდისა და დამკირებისა. საჭირო იყო გმირული თავგანწირვა, უშრეტელი აღმამრნა და გიჟური გატაცება, რომ სათუთო აკ-ვანი ხალხის კულტურისა ცხოვრების სიდუხჭირეს არ გაეოხრებინა.

და თუ აქამდე საჭირო იყო მტკიცე ნებისყოფა, სურვილი გამარჯვებისა, რომ სახალხო თეატრი 30 წლის მოღვაწეობის მიჯნაზე შემდგარიყო, ამ-ქამდე ცხოვრების ახალ პირობებში, მუშათა ახალ მოთხოვნებების მიხედვით უურო დაკვირვებულო, გაღრმავებულო, ჩვენი ეპოქის შესაფერის გატანება საჭირო, რომ სახალხო თეატრი ხალხურ თეატრად დარჩეს და თავის მიერ დასახულ-მიზანს ემსახუ-როს.

ამ მხრივ უადრესად საყურადღებოა გერმანიის ხალხური თეატრის მოღვაწეობა. აი, კერა, რომელიც ვანუწყვეტლივ ჰღვივის, როდესაც გერმანიის ძველი ცივილიზაცია ჰქინიდება, ირღვევა. ამ ხალ-ხურ თეატრებში სჩქეფს ახალი წყარო, აქ ისმის ახალი სიტყვა, კაპიტალისტური ცივილიზაციის უტყველი დაღუპვის მტკიცე იმედით გამოწვეული, და მაშინ, როდესაც გარეგანი კულტურა დიდი ქა-ლაქებისა თავის გამოსახულებას მარტოოდენ მუს-ბუქი გასართობის ადგილზემს ჰპოვებს, როდესაც დიდ თეატრებს შემოეფანტათ მაყურებელნი და

**მერ.** სად გაქრით, ყმაწვილო, ეს ხუთი დღე, ცამ ჩავყალპათ თუ მიწან?

**შერმ.** უნდოდათ, მაგრამ ვერ მივართვი. (როიალზე მიყრდნობილ პ პირის სწყეს).

**მერ.** ავად ხომ არ იყავით?

**შერ.** დიხა!

**მერ.** ეს სულ სხვაა, ვინ იცის, რა არ ვიფიქრეთ.

**შერ.** ღმერთო ჩემო, აღდენმა ყურადღებამ ლამის გამაწიოლოს! სხვა რა ამბავია თქვენს სას-წავლებელში?

**მერ.** ის ამბავია, რომ ერთი მგოსნის მეორე წიგნი-ბა (უჩვენებს წიგნზე) მთელი გიმნაზია მოა-ჯადოდა, ახ რომ იკოლდით, რამდენი გატაცე-ბული თავყანისმცემლო ჰყავს თქვენს ნიქს ქი, რამდენი თავყანისმცემლო.

**შერ.** ნუ თუ მართლა?

**მერ.** დიხა! ამის ისიც უნდა დაუმატო, რომ ეს გა-ტაცება ზოგიერთებს თქვენდამი სიყვარულად გადაექცათ.

**შერ.** და კაცმა არ იცის, სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე განა!

**მერ.** დიხა, დიხა, ერთი სატყვით ფაქტი კოლექ-ტური სიყვარულისა ცხადზე უცხადისა.

**შერ.** კარგი, ნუ გადამრით კაცი... გადაეკით ყვე-ლა იმათ ჩემი უგულითადესი მადლობა ჯერ კიდევ დაუშახურებელი ყურადღებისათვის.

**მერ.** კარგია, ერთი ნუ ინაზებით.

კრიზისის შესახებ ბუბენ, აი, აქ—ამ სახალხო თეატრებში ინასკევა ახალი კულტურა ხელისუფლებისათვის მებრძოლი კლასისა და ყოველ ახალ თქმას, ყოველ ახალ გამარჯვებას გაუაღციმებით თვალყურს ადევნებს უზომოდ გაჭედლილი აუდიტორია.

ჩვენი სახალხო თეატრისათვის ეს გზა აუცილებელია. ეს არასაწინდარი, მისი მომავალი გა-

მარჯვებისა. ეს უნდა იყოს მისი მსახურების იდეალი ისევე, როგორც აქაქდე ხალხის სამსახურიათვის უცემდა მას მაჯა.

გერმანიის სახალხო თეატრებმა არ იციან, რა არის უნიათობა, სასოშიზმილობა, კუნთების მოღუნება. ვით ჩვენი ეპოქა, იგივე ყოველთვის დაქმული არიან და ეგზაურებიან ხალხის ყოველ ამოძახილს.

აი, ცოცხალი მაგალითი, მომავალი სხვ ჩვენი სახალხო თეატრია.

კიდევ ერთი თვისება ახასიათებს ამ თეატრებს: იგინი უბნებს ემსახურებიან, — იმ უბნებს, რომელნიც მუშათა მკიდრო მოსახლეობას წარმოადგენენ.

ჩვენი სახალხო თეატრიც სწორედ ასეთ მოძრაე თეატრად უნდა გადაიქცეს. თავისი დასით მოველინოს ჩვენს მუშათა უბნებს, შემდეგ კი პროვ. ნციას.

პ. დ.



ნარკანი, შალვა დადიანი, ტრ. რამიშვილი.

- შერ. საინტერესოა ვიცოდეთ, პირადად თქვენ რა პოზიცია გიჭირავთ იმ საერთო ფერხულში?
- შერ. მე ვარ ის ერთადერთი განიონაკლისი, ვისაც თქვენ ასე ძლიერ ეჯავრებით (კისკისი წასკლები).
- შერ. ახ, შე წიწმატა, შე წიწმატა... (ხელს წაელებს მერიკოს მარჯვენა ხელს თავის ხელებში მოაქცევს).
- შერ. არ მოგწონათ ვანაი (ხელს გაინთავისუფლებს).
- შერ. აბა ეხლა მიამბეთ რამე იმ თქვენ კაპას და გაუკონარ მათემატიკაზე?
- შერ. მომილოკეთ, მომილოკეთ.
- შერ. რა უნდა მოგილოკოთ?
- შერ. უკვე წააშავეს ჩვენგან წყევული.
- შერ. მართლა?
- შერ. ოი, რაც ჩვენ ვლოკეთ მოხუცო რევიზორი.
- შერ. დამაიწყდა, რა გვარია?
- შერ. შატაკიძისა, ეტაკოს იმას შავი ჭირი. იცით, ხმებია, ჩვენი გინეზიის დირექტორად ძია გიორგი ინიშნება.
- შერ. ბიკოს, ბიკოს!
- შერ. ახ, ნეტავი მაგას მოვისწრებოდეთ.
- შერ. თითონ რაღას ამბობს?
- შერ. არც ჰოს, არც არას .. ისე, იცინის თავისებურად უღვაშებში: „რა ძალიან გიხარიათ კულრაქებო, თუ მოვედი, გიჩვენებთ ფეთებასო“, მითხრა ამ დილთა.

- შერ. ოო, გიორგი სხვა კაცია, თუ ერთი ფენი შემოვდა, მორჩა, საფუძვლიანად გარდაქმნის იქაურობას. (უეცრივ) მართლა, მერიკო, თქვენ თითქოს რაღაც წიგნი მითხოვეთ ამას წინად.
- შერ. დიახ.
- შერ. სახელობარ?
- შერ. კნუტ ჰამსუნის მისტერიები.
- შერ. ახ, უკაცრავად, ჩემო (ქკრიალავ, უკაცრავად, ხვალ უთუოდ მოვიტანთ).
- შერ. დიდდღ დამავალებთ.
- შერ. უბრალო რამეა, ნეტავი შემიძლოს სულიც თან გამოვავყოლო.
- შერ. (კისკისებს და უეცრივ მას) ღმერთო, რა სხვანაირად შეიმომქცერთი!
- შერ. მე თქვენით უზომით ვარ აღტაცებული და მიტომ... (უეცრივ მოხვევს ტალახზე ხელებს, გაღუწევს თავს და ხარბად დაეწაფება მის ლალისფერ ტუჩებს).
- შერ. (მცირე გაფართხალების შემდეგ) ახ, რას სჩადიხართ? (გამორტყა, აღმურ მოკიდებული და აღელვებული, შეხედავს შერმანდოს შაშნარევი ნაზი ღმილით).
- შერ. (ხელს დაუქერს და ეამბორება) რამ შეგაზინა ნაზად გამილოდ ივერიის მაისის ვარდო, ან რა გიკვირს ჩემს საქციელში? შენი



# კველ ლექსებიდან

ეს მართალია: მოიხიბლე და ვაკიტაცეს.  
შენ ჩემ ლექებთან აღარ მოხვალ, არ დაბრუნდები;  
ალერსში გამწნევე სიბოროტეს და სიავკაცეს  
და შენს ლოდინში ბავშვის მოვლას მხოლოდ ვუნდები.

ვით მთვარის რკალი თეთრ ღრუბლებში მორცხვად მცურავი  
ესეც ნახია, ნაფერ მკრთალი და მიღეული,  
თავის მშობლებზე პირველ დღიდან მუნჯად მდურავი —  
ამოცანაა ჯერ არვისგან გამოკვლეული.

ვიცი მი მიდნობს მე ეს გრძნობა ჯერ არ ყოფილი  
და რითმანაგით მოვიღლები, ვადავუნდები,  
შენ კი სხვისა ხარ, ბედნიერი და კმაყოფილი  
და ჩემ ლექებთან აღარ მოხვალ, არ დაბრუნდები.

დაცქერი ბავშვის თავლის თვლებს, ბროლიულ სვეტებს,  
მილიმის ნაცნობ ნახაზობის გავლავარება, —  
ამას შევწირავ ჩემს დაწყვეტილს საოცხლის წვეთებს  
და მომავალშიც ამას ვეტყვი ჩემს აღსარებას.

დახეულ ფიკრებს დღეს არეინ სურს შენსა გარეშე.  
შენს მოლოდინში ბავშვის ალერსს მხოლოდ ვუნდები,  
დავჩრი დღეს მარტო ამის ძიძათ, ამის ფარეშად —  
შენ კი სხვასთან ხარ, არასოდეს არ დაბრუნდები.

## მარიჯან.

საარაკო ფშვინვა, ვის არ დაათრობს, ვის არ  
წაირიტაცებს.

**მერ.** არ ვიცი სწორედ რა ვეწუოდო თქვენს საქ-  
ციელს.

**შერ.** ყველაფერი, ვარდა შეურაცყოფისა და ბორო-  
ტი განზრახვის. ეს იყო მგონის ძმური ალე-  
რისი, გამოწვეული მერიკოს ანგელოსურის მშვე-  
ნიერებით.

**მერ.** რაკი ასეა, მეც რალა მეთქმის.

**შერ.** ძვირფასო მერი, ხუმრობა იქით და სხვანაირად  
არ ჩამომართვა ყოველივე ეს.

**მერ.** არა, არა. უკაცრავად, ეხლა კი უნდა დრო-  
ებით მივატოვოთ, სამზარეულოში საქმე მაქვს  
დაუშთავრებელი არ მოიწყურათ, საცაა დეი-  
დაც მოვა. თუ გნებავთ მუსიკით გაერთეთ.  
(ზარის ხმა) აჰა, აბა ჯერ ვავიგო ვინ არის.  
(გადის დერეფ.)

**შერ.** (პაპიროსს მოსწევს და გაივლ-გამოივლის. ჯდე-  
ბა სავარძელში და გაზრთს ათვლიერებზე).

**მერ.** (მცირე პაუზის შემდეგ შემოდევება ერთს  
ეკროპიულად გამოწყობილს ქალს, ლენას) მო-  
ბრძანდით, აი, აქ დაუცადეთ. (უჩვენებს სკა-  
მზე) გთხოვთ. როდის დაბრუნდება არ ვიცი,  
ყოველ შემთხვევაში ერთი საათის შემდეგ  
უთუიად მოვა.

**ლენა.** მაღლობას მოვახსენებთ.



ბაკაკი ფალავა.

# ინტერვიუ

სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის  
დირექტორ ბაკაკი ფალავასთან.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა რეჟისორ  
ბაკაკი ფალავას ჩვენში სასცენო განათლების

**მერ.** (გადის და მიეფარება).

**შერ.** (როცა ლენა შენიშნა, წამოხტა) ამას ვისა გნე-  
დავ! ლენა, ჩემო კუდრაბავ, ჩემო ერთად ერ-  
თო. (ხელზე ეამბორება).

**ლენა.** აი, სად დავიჭირე მოლაღატე რაინდში!

**შერ.** (სავარძელზე უჩვენებს) გთხოვთ!

**ლენა.** სად გაჭირე ტულულტო. ეს იყო (დაჯდა) შენი  
დაპირება?

**შერ.** სინდისს გეფიციკები არ მეცალა. სწორედ დღეს  
ფიჭობოდი შემოვლას.

**ლენა.** თუ ყველა პოეტი შენსავით უბირულია, აგვი-  
შენდება სწორედ ოჯახი.

**შერ.** გეუბნები, არ მეცალა მეთქი. დღეს გიწმევი  
და დაპირებულსაც მოგიტან.

**ლენა.** ენახათ, ენახათ!

**შერ.** შენი თავდიდა?

**ლენა.** არჩინვად იყავი, ბაქაში წავიდა, ერთი კვი-  
რით.

**შერ.** კარგადაც მოქცეულა... დმერთო ჩემო!.. ისა  
და შენ... რა კონტრასტია!

**ლენა.** ერთივე მითხარი, აქ რა გინდა?

**მერ.** მე ამითი ძველი მეგობარი ვარ და ათასში  
ერთხელ შემოვარბნე ხოლმე. თვით შენ რის-  
თვის გარჯილობარ?

**ლენა.** მინდა ვთხოვო, მოვიმზადოს ერთი შორეუ-  
ლი ნათესავის ბავშვი



შესახებ. პატივცემულმა ხელოვანმა გამოსთქვა შემდეგი აზრი, რაც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს:

ჩემს მიერ დაარსებული და შექმნილი დრამატული სიუჟეტი, ამ ე.წ.მდ, თანახმად საქართველოს სახალხო კომისარია საბჭოს 10 ოქტომბრის დადგენილებისა, გადაკეთდა სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტად. მთელი შემადგენლობა ჩემის სტუდიისა დაედგა საფუძვლად დღევანდელ ინსტიტუტის შემადგენლობას. წელს მივიღეთ მხოლოდ 16 ახალი მსწენელი ქალი და ვაჟი. მუშაობა სწარმოების ინტენსიურად, საღამოობით 5-8 მდი მეცადინეობა სასწავლო საგნებში, 8 საათიან რეპერტივებში. მზადდებთ: კ. მარჯანიშვილი პირველ ქართულ პანტომიმის თ. ვიხვავიშვილისა: „მზეთა-მზე“ პლასტიკის მასწავლებელ ვ. ულენტის დახმარებით. მე—ტოლტორის პიესას „დამიანი თუ მისსა!“ ეს უქანასკნელი თითქმის მზადაა, მხოლოდ უსახსრობა ხელს გვიშლის ეს პიესა საჯარო წარმოდგენად გამოვიტანოთ. იმედი მაქვს, ეს დაბრკოლება მალე იქნება დაძლეული.

სასცენო განათლების კულტურა, თუმცა ზანტად, მაგრამ მკვიდრად იკიდებს ფეხს ჩვენში. ცხადია ამას მოჰყვება გადახალისება ჩვენის სცენისა და არამც თუ გადახალისება—ახალი დასისა და, მაშასადამე, ახალი თეატრის შექმნაც. ეს არ არის თეორიული წინასწართქმა, არამედ რეალი ფაქტია, როლის მოწმენით ჩვენ ძლიერ მოკლე ხანში გავხლებით.

მე არ გეტყვით, როდენ დიდი იქნება ჩვენი მუშაობის შედეგი. ახას, უმძველია, ყველანი დაათვა-

ლებენ ჯეროვანად თავის დროზე. დღეს-დღეობით კი, რომ მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმე კეთდება—ეს ყველაასთვის, კინც კი გასცნობია ჩვენს მუშაობას, ცხადია.

რაც შეეხება მომავლის პერსპექტივებს, უნდა მღვახსინოთ, რომ იმედები დიდი და სრულიად საფუძვლიანიც. ქართველი ხალხს დიდი პოტენციალურა შესაძლებლობა აქვს საერთოდ ხელოვნების სფეროში და კერძოდ სსსცნო ხელოვნების დარგშიც. არტისტული შესაძლებლობით—შეიძლება თამაშიდ ითქვას—მთელი საქართველოა გაქვლენითილი, მხოლოდ ეს არტისტიზმი რჩება გაზნეული ბუნებისა და დამიანთა წილში და ჯერ ხელოვნურს ბრძმედში არ გაწურულა. ეს კი მორიგი ამოცანაა და მე მგონი, თანდათან და ძლიერ მოკლე ხანში ჩვენმა ქვეყნამ უნდა გამოაჰყოს თავის წიაღიდან მრავალი დასი ხელოვანთა ყველა დარგებში. მარტო დღედაქალაქში რომ მიმოიაროთ და თვალი გადააღოთ მანქანებზე მოკაქანე ქალიშვილო, გაოცდებით—რაოდენი არტისტული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მასალა არის მიმობნული სრულიად უშიზოთ და ამას ვერა გარზობენ. ასევე ვაყვებში: მრავალნი, რომელთაც აქვთ უმძველი სსსცნო შესაძლებლობანი—ჩრეობენ წვრილმან საქმეებში, ან ხზირად სრულიად უსაქმოდ, დახუბრადენ, ვიდრე სერიოზულად მუისწავლონ რომელიმე დარგი ხელოვნებისა. მოთხოვნელება კი დიდა და ყველა ქართველს, რომელსაც აქვს, რასაკვირველია, სათანადო ნქტი—დიდი მომავალი მოელის.

**შერ.** შეუძლოთ არის. დროებით უარს ამბობს კერძო ვაკეეტილებზე. მით შემეტს პატარაებს არ ამზადებს, უფროსი კლასების მასწავლებელია.

**ლენა.** მართლა?

**შერ.** დიახ.—ეს მე ნამდვილად ვიცი.

**ლენა.** საწყენია. რა იმედი მქონდა!

**შერ.** ნუ დაღონდები, სხვა მოგზახოთ, ამაზე საღამოს მოვილაპარაკოთ.

**ლენა.** ძალიან კარგი. რას მცუორებ?

**შერ.** იცი ლენოჩკა, მას შემდეგ ერთი ორად დამეფენებულხარ. ლმერთი ჩემო, რამდენი ცეცხლი, რამდენი ნაპერწკალია! ახ, ის ლამე, საინეტარო ლამე!

**ლენა.** ძალიან გენატრება?

**შერ.** ერთხელ კიდევ და მერე თუნდ მომკალი. კეკლცეო, ლენიკო, ჩემო ცქრიალავ, ბალის კუნწულა ხარ, ლაე ლაეა ატამი, ნორჩი ჩარგვალებული, საღამოს მოვალ და სულ ერთიან ჩაგხარამუნებ.

**ლენა.** (ნელა კისკისებს)

**შერ.** მოვალ და კვლავ შევაცურებ, აღერისის და კონტის ტბაში, რომ ჩვენი თრობის ყვირინი, გაისმოდეს მდლა ცაში. (უნდა აკოკოს).

**ლენა,** (წამობტება და განზე გახტება) მოიცა, გიყო, რას ჩადიხარ. ვილაცაა.

**ელმიდა.** (სწორედ ამ სცენის დროს გამოჩნდება. შემოვა დერეფანში და უქან დაიხევის პოეტის შეუშნველად).

**ლენა.** (ვადის)

**ელმ.** (წუთის შემდეგ გამოჩნდება კარებში) უქანკრავად, მგონი უღრთოვო მოკვლით ხელი შეგიშალოთ.

**შერ.** ახ, ელმიდა, ჩემო სიკოცხლევ! (გაიწევის მისკენ).

**ელმ.** შესდევქი! ვინ იყო ის მანდილოსანი?

**შერ.** ხა, ხა, ხა! ექვიანობს ჩემი სულიკო, ექვიანობს და მით თვისუნებურათ შეურაცყოფასაც მაყვენებს—

**ელმ.** ვინ იყო ის მანდილოსანი?

**შერ.** ეხლავ აგისხნი: ის იყო ჩემი შორეული ნათესავი ელენე ნიკურაძისა. გოგოსთან მოვიდა, ვიღაც მოწაფის შესახებ მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის, მაუწყა, რომ მან ერთ ოჯახში იპოვნა ჩემ მიერ ამ ერთი თვის წინედ დაკარგული ხელთნაწერი პოემა. პოემა, რომელშიაც უხვად ჩაგვაქოვე მთელი ჩემი შემოქმედება და შეეკერე სულის უნახესი ძაუებით. ამ გარებობამ იმდენათ გამახარა, რომ ვერ მოვითმინე, მივარდი ვადასახეველად, მაგრამ, იმ საწყალს შეეშინდა, განზე გაიხიბტ. აი ამ მომენტს ალბათ შეესწარი ჩემ და, ვინ იცის, რა არ იფიქრე.

(გარემულება შემდეგ 16-ში).



დასასრულ, უნდა მოგახსენოთ, რომ პირადათ მე, და მთელს ჩვენს საქმეს დიდის თანაგრძობით მოვიდა ყველა: მთავრობის წრეები, პარტიული და პროფ სიული ორგანიზაციები, მთელი ქართველი საზოგადოება. ჩვენი მეცნიერნი, რომელნიც ძალზე დატვირთულნი არიან მუშაობით, თავს ძალას ატანენ, მოდიან ჩვენთან და საღამომობით კითხულობენ ლექციებს აგრეთვე სხვა ხელოვანნი, რომელნიც ასევე თავდაუზოგავად გვშეველიან სა-თეატრო ამინისტრატია და განათლების კომისი-არიატი ხომ თავადდებულა.

ყველა ამათი დახმარებით ჩაყარა საფუძველი ამ დიდ საქმეს, მტკიცედ შეინდება და ღირსეულად-დაც დავივრავინდება.

ამ გვარად, მე ღრმით მწამს, რომ განახლე-ბულს ცხოვრებაში ჩვენც ვიტყვით ჩვენს ახალ სი-ტყეს.

— რა უნდა იყოს თანამედროვე დრამატურგის მიზანი?

— როგორც ყოველთვის, შექმნა ახალ ღირებუ-ლებათა: ხელოვნურის გზით ასახულ ფორმებში გა-დაშლა საკაცობრიო იდეალების, ამ წარსულ დროთა იდეების ახალი შუქით გასხივოსნება.

— როგორი უნდა იყოს თეატრისა ტ ცხოვრე-ბის ურთიერთობა?

— თეატრი უშეველად ანარეკლია ცხოვრებისა და მისი ძირი თვით ცხოვრებაშია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თეატრი იყოს ფოტოგრაფია ცხო-ვრებისა. იგი უნდა ახლავდეს ცხოვრებაში და ასა-ხავდეს იმას, რასაც ბრამც თუ უბრალო მიმატაღ-ვი, არამედ სხვა დარგის ხელოვანიც ვერ ამჩნევს.

თეატრი ფანტაზიის პირშიუ შეილია და ამ მხრივ მისი შესაძლებლობანი განუსაზღვრელია. ყოველივე, რაც ნიქიერად და საინტერესოდ იქნება შექმნილი თეატრის მიერ, მისაღებია.

— რა მნიშვნელობა გაძლევ სახალხო თეატრსა და რა მიზანი უნდა ღიასახოს მან?

— სახალხო თეატრმა დიდი მისია იკისრა. წა-სულში მან ეს მისია ბრწყინვლედ აღასრულა და მომავალში კიდევ უფრო ბრწყინვლედ უნდა ვი-ღოდეს წინ. რაც დრო გადის, მით უფრო უნდა დაუახლოვდეს სახალხო თეატრი დახვეწილ სასცენ-ო ხელოვნებას და თავისი აუდიტორიის გემოვნება და სული და გონება უნდა გათავიზოს სალი, მტკი-ცე, გარდუვლილი ღირებულების მატარებელი რე-პერტუარის შექმნით, სახალხო თეატრიც დილეტან-ტიზმიდან მკვიდრ პროფესიულ ნიადაგზე უნდა გადავიდეს...

— ქართული თეატრი რა გზით უნდა წავიდეს და რა მოვლის?

— ქართულ დრამის ნორმალური განვითარები-სათვის უშეველად აუცილებელია იმ ხალხს გაგრძე-ლება, რომელიც დღესა აქვს აღბეჭდილი მას: შე-ქმნა სასცენო ხელოვნების სფეროში დახვეწილ, მხატვრულ რეპერტუარისა, როგორც მსოფლიო დრამატიულ ლიტერატურიდან, აგრეთვე მშობლიურ შემოქმედებიდან, თუმცა ეს წყარო დღეს-დღეო-ბით მეტად სუსტია, მაგრამ მე იმედი მაქვს, ის ნაკადი, რომელმაც აქა-იქ ამ მხრივაც იჩინა თავი, ძლიერ მდინარედ გადაიქცევა მოკლე ხანში და ამ მხრივითაც დღევანდელი კრიზისი ჩვენს მიერ ძლეულ იქნება.

## ლადო გენსიფილი უკანასკნელად თავის სამ-შობლო კ. თელავში.

აგერ უკვე სამმა წელმა განვლო რაც ლადოს სიცოც-ხლით სავსე, არწივისებური გამოიმეტყველების თავლები სამშუდამოდ მიიხუტუნენ. გუ-შინ... თითქმის გუშინ სიხა-რულით შეგვურბდით მის მაღალ სპეტაკ შუბლს. ის ხომ ამ ჯერად ცივ რუსეთი-დან სამშუდამოდ დაუბრუნდა თავის სამშობლო კერას, მარ-თალია, ფიზიკურად შესუსტე-ბული, მოუანცელი, წონა-დაყარგული, მაგრამ, სამაგი-ეროდ, მას ახარებდა ქართუ-ლი სცენის აღორძინების ხა-ნა; იგი კვლავ ძლიერი იყო სულით, მისწრაფებით, ხელოვნების გაორკეცებით სიყვარულით.

— ძძლივს ვეღირსე მონობის ჯაჭვებ აყრილს ჩემ საყვარელ სცენას, ახლა კი სამშუდამოდ მოვიკალა-



მარცხედ პირედ რიგში სხედან: გ. ტერნოვი, ე. ღიდაშვილი, თ. ღიდაშვილი, ან. მარ-ქაროვი, ვლ. ციხისაი, ნ. ღიდაშვილი, ლადიკო მესხილი; მარცხედ მჯობ რიგში: კ. ონიკაშვილი, იოს. ქარელიშვილი, ნ. გოგოლაძე, კ. ქედიძე, ილ. ალ-მესხიშვილი, დ. აწყურელი-გამყრელიძე, ლადოს მესამე ცოლი, არს. ციხისაი; მარცხედ უვეთ დგანან: ივ. გოტაძე, ალ. ზაუტაშვილი, ვან. მაყურაძე, ე. დეკიშვილი, ივ. პატაშვილი, ნ. ტრ-ასტაკატუროვი, ლიხა გამყრელიძე, ილ. ვახაჩიშვილი.

თებ ჩემს ქვეყანაში, ავაცილებ ძველს საყვარელებს!\*

აღტაკებით იმეორებდა მეგობრებთან. 1920 წ. რუსეთიდან დაბრუნებულმა ლადომ როგორც კი ცოტა შეისვენა ტფილისში, იმ ზაფ-

ხელსევე გამოეშურა თელავისკენ. ერთი კვირა დაჰყო მან ჩემს ოჯახში და ბევრი ტკბილი და ნეტარი წუთები მაგრძნობინა თავის სტუმრობით.

პირველი მისი სურვილი შუა ზოის მონასტრისკენ გასერეწება იყო, სადაც მას თავის დედ მამის საფლავი ეგულებოდა. ლადოს ეს სურვილი დაუხანებლოდ შეგასრულეთ: მკათათვის კაჟაშა დილა იყო,—ოთხსტენიანი ლამაზი ეტლი შემოთიქენ მიგვაპრობებდა—ლადოს თავის ცოლით და პატარა ცელკი ლდიკოთი, დათიკო აწყურულს—თავის ქალი ლაზიკოთი და მე—ჩემის ქალით ეღენეთი.

რასაკვირველია, შუამთის დაბურულს ზოის თავის დარაკაკეებული მიდამოთი, მოხუცდებოდა რომ სხვა რამესადაც გვეჩვენა. არ დაგვეწყებია: საესე ხურჯინი სასცენო სანოვავით და ტიკქორა „ქახური“-თ.

ამ დღეს ლადოს აღტაცებას სახლვარი არ ჰქონდა. ავირ გავიარეთ სოფ. ვარდისუბანი და გადავხედეთ თურდოს იქით სოფ. რუისპირს.

— ჩვენი სახლი, დაობლებული ჩვენი სახლი! — წამოიძახა ლადომ.

გომბორის ძველ ვახტეცილის მხარეს, რუისპირის ვანაპირად, უსიცოცხლოდ, მაგრამ მდიდდურად გამოიყურება ძველი უხარამზარა შენობა წინ ფართე ეზოთი. ეს მესხიშვილების—ლადოს დედ-მამისეული სახლია. არ შეიძლება გამვლელის ყურადღება არ მიიპყროს მან თავის ერთგვარი ძველი ელფეთით, იგი თვითელი მოხუცეს ბევრს რასმე გაახსენებს ძველის წარსულიდან... ალბად ლადოსაც გაახსენა მან ბავშვობის და ახალგაზრდობის მწვავეც და ტკბილი წუთებები და თვალები აუტრემლიანა...

ვერც კი გავიგეთ როგორ სწრაფად განველეთ 7 ვერის მანძილი და წვაადქვით შუამთის ჩუხჩუხა წყაროს.

— იფე! შენი ჭირიმე, განა სად იქნება კიდევ ასეთი მოჩუხჩუხე ანკარა ცივი წყარო, თუ არა ტურფა კახეთში?..

დილის 8 საათზე ჩვენ უკვე შუამთის მწვანე ხივერდით დაფენილ ეზოში გავიშალენით.

„ჩვეულზე რაჯულზე უმტიციესია“ო, ნათქვამია, ლადომ მოისურვა დედმამის საფლავზედ ტრადიციულად ბერეგისთვის პანაშვიდი გადაეხდებინებინა. ასეთ წესს იმ დროს კიდევ გასავალი ჰქონდა და ეს სურვილიც უშალ შექარულეს ბერებმა.

მონასტრის მარცხენა კედელს ამშვენებს მარმარილოს ქვებით კოხტად გამოქანდაკებული ორი საფლავის ეგვა ქართულის და გერმანულის წარწერებით. აქ ასაფლავიან ლადოს დედა სოფიო და მამა სარდიონი.

ზომ არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი წუთი, როდესაც სულ უკიდურეს თავისტასაც სასოებებს აგრძნობინებს და აი სწორედ ამ დროს არაჩვეულებრივად გონიბოთ შეცქეროდით ყველანი ლადოს აცრემლიანებულ თვალებს.

— გმადლობთ, გმადლობთ, მეგობრებო! — მოგვიბრუნდა ლადო დათიკოსა და მე; — რომ იცოდეთ

რა სულიერ კმაყოფილებას ვგრძნობ ახლა მე, თითქოს რაღაც სიმძიმე ჩამომშორდა გულიდან. 25 წელიწადია მე დედ მამის საფლავი აღარ მენახა.

— აბა, ლადო! ეს ჩვენი ზენიბრები და სულიერი მოვალეობაც ხომ მოვიხადეთ, ახლა ხორციელების მოთხოვნების დადარაკი შევუდღეთ, გამოვარკვიეთ მე და დათიკომ ლადო განსცდეს მგომარეობიდან.

აქ ყელანი აებზაფრავით, ავიძოვადით: ქონ ქათმების ხარშვას, ვინ სამწვადეების დამზადებას, კახურის ჩამოსხმას და ცეცხლის გაჩაღებას შეუდევით შუამთის დაუზარელ მამებთან ერთად.


12 ქათმზე ჩვენ მონასტრის დიეც სასტუმრო დარბაზის აივანზე შემომწყვავებულნი ვისხედით სუფრის გარშემო და კახურ მრავალკემიერს ვადავებზოდით ივალთო-რუისპირის ნაპარაკებს. ნადიმზედ ბევრი ეპაზოდები ვახსენებს ლადომ და დათიკომ თავის წარსულიდან. მოიგონეს ძვირფასი სცენის ამხანაგები ვასო, ვალიკო, კოტე, ნატო და სხვები.

ლადომ მტიციელ შემოგვეცა და აღთქმა დაგვიდო, რომ ყოველს ზაფხულს გვესტუმრებოდა თელავში და ჩვენ კი შუამთის ვაჩვენებდით და მის ბუნების წაღში მოვალსენდით.

გასტუდა ლადომ თიცი იმავ წლის დამღვეცს საიუდამოდ დაღმუდა მისი მეტყველი—მქუხაჩე ბახეც. მაგრამ ამოუშლელი დარჩება ქართველი ხალხის მესხიგვიდიან ის დიდი ღვაწლი, რაც მისმე მალაბმა ნიჟა შეიტანა სამშობლო სცენის საღაროში. არასოდეს არ განჰქრებინა მის მიერ განსახიერებულნი გიბრები და ლადოს ხსოვნაც სამარადისოდ დარჩაბა ჩვენში.

ლადო თითქოს გრძნობდა, რომ მისი მოგზაურობა კახეთში რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ პირველი და უკანასკნელი იქნებოდა. იმავ ზაფხულს თელავის სცენის მსახიობებთან და სცენის მოყვარებებთან ლადომ სურათიც გადაიღო, რომელიც აასათან ერთად ვანახლებულ ეურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას ეგზანგებდა.

ა. ციხოსთავი



## მხატვრობა

მხატვრობა არის ადამიანის კულტურულ განვითარების ერთი უდიდესი საფუძველთაგანი; მისი საშუალებით ვითარდება ადამიანის ნიჟი ხილულ სამყაროს ღრმა შემეცნების და მის უშუალო გარემოცობისა.

მხატვრობა არის საერთო ენა ყველა ეროვნებათა შორის. მხატვარი ხელოვანი თავის შემოქმედებაში ვამოსთქვამს როგორც მას, რასაც რეალობის ხილვით ვანიციდის, ისევე მას, რასაც იდეალურ მიზნად დაისახავს. ისე ცოცხლად, უშუალოდ და რეალურად ვერც ერთი სხვა დარგი ვერ დაგვანახებს ცხოვრების ფორმათა იდეალებს, როგორც მხატვრობა, რომელიც აძლიერებს და აადვილებს ახალ ცხოვრებისაკენ ხალხის მისწრაფებას.

უქანასკნელს საუკუნეში მხატვრობამ სრულად გარდაქმნა კულტურულ განვითარების და ცხოვრების წინსვლის მთავარი საფუძვლები: თეატრი, სინემატოგრაფი, პედაგოგია, აგიტაცია, სტატისტიკა და სხვა.

მხატვრობა ნაციონალურიც არის, როგორც ეროვნული სულის და სტილის უშუალო გამომცემი და ინტერნაციონალურიც, როგორც ყველა ერთათვის გასაკვები.

საკმარისია უცხოელმა გადაავლოს თვალი ჩვენს ჩუქურთმებს, შენობებს, რომლის გეგმები ჯერ იხატება; ნახონ ფრესკები: ვარძიის, დავით გარეჯის და გელათის; ნახონ მინიატურები ძველ სახარებათა, ხახულის ღვთის მშობლის და სხვა ხატები, რომ განცვიფრებით და მოწიწებით წარმოიდგინონ ძველ კულტურულ საქართველოს დიდება.

დაწინაურებულ ერებს მხატვრობის საქმე ისე აქვთ დაყენებული, რომ იქ ყველა განათლებულმა კაცმა რამოდენიმედ იცის ხატვა, ყველა სპეციალისტი ექიმიც, მეურნე, თუ ტენენიკი, თუ სხვა, ბევრი სიტყვის მაგიერ ერთ ფუთში წიგნაკში დავიხატავთ თავის საქმის ავილიად გასაკვებ გეგმას. ჩვენში ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილი ვართ არა თუ საზოგადოდ ინტელიგენტი, არამედ თვით ხელოვნების დიდებული წარმომადგენელი როგორც არიან არტისტიკი, მუსიკოსები, პოეტები ერთ ხაზის გასმის ვერ ახერხებენ და ცარიელი სიტყვით ცალმხრივ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

ძნელია ამ პატარა წერილში ლაპარაკი ექრძით ქართულ მხატვრობაზე, მის მიმართულებაზე, ამბავზე შემდეგ, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უწუგემო მდგომარეობა, რომელშიც არის საქართველოში მხატვრობის სწავლის საქმე.

მთელ საქართველოში არ არის უზრუნველყოფილი არც ერთი სამხატვრო სასწავლებელი.

ერთადერთი აკადემია საქართველოში, რომელიც მოთავსებულია სამიწოდ დაცხავებულ შენობაში; არ არის დაცული არც წყობის, არც სიცივის და არც უსინათლობისაგან. სწავლის ფასის სიღიდე სდენვის ნიჭიერ ახალგაზრდა ღარიბ მხატვრებს და ხდის სათარგმზოდ მხოლოდ შეძლებულთა შეილებისათვის

მაგრამ ეს კიდევ არაფერია. ამ აკადემიას არ აქვს არც ტანი, არც ფეხები: არ არის არსად სახელმწიფოში არც საშუალო, არც დაბალი სამხატვრო სასწავლებლები.

რუსეთშიც აკადემია ერთია, მაგრამ ორმოცდა რვა სამხატვრო სასწავლებელია, საიდანაც გადის აკადემიაში. უამისოდ აკადემიას, როგორც უნივერსიტეტს უტენიკუმით, ეკარგება აზრი. ამაზე სახალხო განათლების კომისარიატს ყველაზე პირველად უნდა ეზრუნა.

ჩვენ სამკოთა საქართველოს მკალაქენი დიდ კულტურულ აღორძინების წინ ვსდგევართ. ხალხმა



სოფლის სურათი: ღვინის გადაღება

ნახატ. დ. ქუთათელაძის.

იგრძონ თვის შემოქმედების ძალა, ყოველ მხრიდან მოდიან მუშები, გლეხები პროვინციებიდან—უნდათ თვის ქალღონით, ნიჭით თავის თეატრები, კლუბები მოაწონ. დეკორაციები, კედლები, პლაკატები ხატონ, მაგრამ არ იციან ვის მიმართონ. ვერ უყურებენ ამ გარემოებას, როგორც სამხატვრო საზოგადოების თავმჯდომარემ, გულჯრილად. რაც მებადა გადავადე და მოვაწყებ სტუდიას. ვერ წარმოიდგენო, როგორც კერძო პირს, რა დაბრკოლებები მელობებოდა წინ ბინის, სინათლის და ხელსაწყობის და სხვათა გამოძებნის დროს.

მაგრამ დაეამარცხე. წლის ბოლოს გამოფენაც გავმართე. პრესამ დააფასა. განათლების კომისარიატის კმაყოფილი და მადლობელი დარჩა. დამპირდა ყოველივე დამხმარებელი უზრუნველყოფას. თვით ისურვა კომისარიატის ქარხნიდან ფერების მოცემა ღარიბ მოწიფეთათვის.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენში სამხატვრო ხელოვნებას სათანადო ყურადღება მიეპყრობა. მაშინ მე მწამს მრავალ სამხატვრო ნიჭს აღმოაჩენს ჩვენი მხატვრული ქვეყანა და მსოფლიო სამხატვრო საგანძურში თვის ღირსეულ წკოლსაც შეიტანს.

პროფ. მთხ თოიძე.



ქართული თეატრი

„ადამიანი მასა“ ე. ტოლუერის, თარგმ. გრ. რობაქიძის, დადგმა მ. ქორელისა.

გასულ კვირას, 4-ს და 6 დღეებში, რუსთაველის თეატრის სცენაზე ორჯერ წარმოადგინეს გერმანულ მემარცხენე ექსპრესიონისტის ერნსტ ტოლუერის 7 სურათიანი პიესა — „ადამიანი მასა“. პიესის შინაარსი აღებულია ბავარიის რევოლუციის ისტორიიდან.

ე. ტოლუერი თვითონ უშუალო მონაწილეობას იღებდა ამ რევოლუციაში და მისი პიესა დაწერილია რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული მწარე განცდებით.

პიესის შთაფარი თემაა: შეჯახება ორი კულტურის, თანამედროვე საზოგადოების ორ მამოძრავებელ ძალის: ბარიკადების ერთ მხარეზე სდგას რევოლუცია, სტიქია და მისი შემოქმედი მასა, რომელიც იბრძვის კაცობრიობის დამონაწევლ ნაწილის განთავისუფლებისათვის, ბარიკადების იქით კი უსამართლო გამბატონებული კლასი, ბურჟუაზია თავისი იდეოლოგიით.

პიესაში მოცემულია ამ სასტიკი ბრძოლის ეპიზოდები.

მეორეს მხრივ, პიესაში დაპირისპირებაა მასის და ადამიანის.

რევოლუცია უდიდესი სტიქიაა, ის მოზღვავებული გმირობის გადმოხეტევა ნაპირებიდან და ამიტომ მისთვის არ არსებობს არავითარი კანონები, ის სთელავს ყველაფერს, რაც ხელს უშლის მის ბრწყინვალე მსვლელობას.

მასა, ბრბო, რომელიც ქნის ამ რევოლუციას და სურს უდგამს მას, შეუპოვარია თავის მისწრაფებაში, მისთვის მისაღებია ბრძოლის ყოველგვარი საშუალებები.

არ არსებობს არავითარი სიწმინდე, გარდა მასისა და მისი საქმისა.

მაგრამ აქ მასის წინ სდგება ადამიანი (და არა პიროვნება).

აქვს თუ არა უფლება მასას გასთელოს ადამიანი და მის გვამზე გადაბიჯებით განაგრძოს დაწყებული გზა?

ამ საკითხს უფლს გარს ავტორის ინტელექტი და ის სწვევს ანას ისე, როგორც შეპკერის ექსპრესიონისტს.

მასა ირ სწობს ადამიანის სიწმინდეს, მას ვერ აჩერებს ადამიანის სისხლი, მაგრამ ადამიანიც მტკიცეა ამ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში და არა ნაკლება თავგამოდებით იცავს თავის ღირსებას, მიუხედავად თავისი პოლიტიკურ რწმენისა, ე. ტოლუერი, როგორც ექსპრესიონისტი ხელოვანი ერთგული დარჩა მანაც თავისი თავის:

ადამიანმა გაიმარჯვა, მან სიკვდილით გამოისყიდა ადამიანური ღირსება და სიწმინდე.

ადამიანმა მოსძებნა მანაც თავისი თავი და, ჩვენის ვაგებთ, სწორეთ ამ ადამიანის ძაბა უნდა შეადგენდეს პიესის ძირითად იდეას.

პიესა სიმბოლოურია. როგორც სხვა ექსპრესიონისტულ პიესებშიაც, ამ პიესაშიც უფრო მეტია მსჯელობა, ვიდრე მოქმედება. მაგრამ პიესა მოხდენილია, არის ჩამოსხმული, ის უსარესათ თანამედროვეა და მასში ბევრია პათეტიკური და ეროვნული მომავალი ადგილები.

პიესა დასდგა რეისორმა მ. ქორელმა. უნდა ითქვას, რომ ის ერთი ურთულესი და ულამაზესი დადგმა იყო მთელი ამ სეზონის განმავლობაში.

პირველ წრეების აღსანიშნავია ის, რომ რეისორს სწორეთ გაუგია ავტორის მიზნება და თვით ნაწარმოებში მოთხოვნილებანი.

აქ მთელი მოქმედება განვითარებულია რეალისტურ და სიმბოლოურ ხაზების ხლართში, და სხვაანართ არც შეიძლება იმ ღრმა სოციალურ და ფსიქოლოგიურ დამის გადმოცემა, რომელთა ნასკვზეც არის აშენებული მთელი პიესა.

დადგმაში ფართოდ გამოყენებულია სინათლის ეფექტები, რაც მისტიურ ელფერს აძლევს სურათებს და აძლიერებს შთაბეჭდილებას.

დადგმაში გათვალისწინებულია თვითთელი ხაზი, თვითთელი ნაბიჯი და ესტიკი კი. რეისორს მიზნათ დაუსაბავს შექმნას სცენაზე ქარხნების ოთხ კედლებს შორის რომყიდულ ადამიანების მექანიზმისებური მოძრაობისა და მოქმედების რიტმი. ასეთ განზრახვისათვის რეისორისთვის აუცილებელი იყო სცენაზე ქარხნის შთაბეჭდილების შექმნა და ამ მიზნავც მასურებისათვის ნათელია რეისორის ფანტაზიის სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

განსაკუთრებით ლამაზია პირველი, მეორე და მესამე სურათი. მოფერებულთა ბირვის სცენა, მოხდენილია ნამდვილი სახის მაგივრათ ნრღაბების ხმაჩრება, მხოლოდ აქ საკუროა, რომ ნიღაბები არ ახშობდენ მსახიობების ხმას; ამაას გარდა უნდა აღენიშნოს, რომ სცენა ბირაზე რამოდენიმეთ გაშარებულია.

რეისორის დიდი მუშაობა სჩანს აგრეთვე მასიურ აცენების მომზადებაში; მასიური სცენები აქ მთავარი ძარღვია პიესის და მთავარ არის დამოკიდებული მთელი პიესის ბედი. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ალაგ-ალაგ მასიურ სცენებს აკლდა სიცოცხლე და პათოსი. მაგალითად, „ინტერნაციონალის“ სიმღერაში საჭიროა მეტი თავგამებუტებისა და ბრძოლის წყურვილის გრძნობის ჩაქსოვა. ზოგიერთ ადგილებში მსახიობებს (მასიურ სცენებში) ეშლებოდათ როლები.

საერთოდ „ადამიანი-მასა“-ს დადგმით მ. ქორელმა შესძლო განემტკიცებია ქართულს სცენაზე თავისი სახელი, როგორც დაკვირვებულ და გამოცდილ რეისორის; ამ დადგმით მან გადავიწვალა



თავისი ნიჭი და ის პოტენციალური ენერჯია, რომელიც მასშია დაგროვილი.

ამ საღამოს დამტკიცდა ისიც, რომ ჩვენ გვეყოლია ისეთი რეჟისორებიც, რომელთაც შეუძლიანთ მოგვეცნენ მთლიანი და დამთავრებული წარმოდგენები, თუ მათ საშუალება ექნებათ ფართოდ ისარგებლონ ტენიკურ და მატერიალურ საშუალებებით.

თამაშის ხზირი შეგვიძლია შევცხოთ მხოლოდ ორ მსახარბს: ნ. ჩხეიძეს და ა. ხორავას, რადგან ამათ გარდა პიესაში არ არის სხვა თვალსაჩინო როლები.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ჩხეიძემ ვერ გვაგზარძობინა ამ საღამოს ჩვეულებრივი ესთეტიური საამოგებება: მსახიობს აკლდა ტემპერამენტი, გრძობა, მის გადმოცემაში არ სჩანდა ემოქის აჩქარებული ტემპი, ექსპრესია; მის მიერ განსახიერებული პიროვნება მეტად რეალისტურია.

ა. ხორავაზე უკეთეს ამსრულებელს ვერ იშოვის აკადემიური დრამა მასის ხელმძღვანელის როლისათვის. ის თავისი არტისტიული ვარჯიშებით და მქუხარე ხმით ბრძოლის ცეცხლს ანთებდა მასისა და მაყურებლის გულში. მოფიქრებული და გაზომილია მსახიობის ყოველი მოქმედება, ყესტი, მხოლოდ ალაგ ალაგ მსახიობი სათანადოთ ვერ იყენებს თავის ხმას.

საერთოდ მსახიობი სწრაფად მიიწევეს წინ და ახლო მომავალში ის სავატიო ადგილს დაიქერს ჩვენი თეატრის სცენაზე.

კარგები იყენენ დანარჩენი შემსრულებლებიც, მწყობრი და დაკვირვებულა თამაშით ისინი ქმნიდნენ იფიჯით ანსაზღბელს.

ჩვენი რეცენზია სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ ახალგაზრდა მხატვარ კ. ზნანვეიჩის მშვენიერი დეკორაციებს. უბრალო, მარტივ ფერებში მოცეკვულა დამთავრებული მხატვრული მიწვევა. მეტად დამაზნია სინათლის ეფექტებიც.

**მ. სანიოლი.**

**საბავშვო თეატრი**

კვირას, 25 ნოემბერს, ყოფ. ქართულ კლუბის თეატრში გაიხსნა, სახელმწიფო საბავშვო თეატრის პირველი სეზონი. წარმოდგენის წინ დასას რეჟისორმა ს. წერეთელმა მოხსენება წაიკითხა საბავშვო თეატრის დიადი მნიშვნელობის შესახებ. მისის რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა პირველად ქართულ სცენაზე პიესა—ზღაპარი დ. ნახუცრიშვილისა „ნაცარ ქეთი—კიკლა“. პიესამ მწყობრად ჩაიარა და დანსწრე ბავშვები ასიამოვნა. კვირია ასრულებელთაგან აღსანიშნავნი არიან: ვარდოშვილი (კიკლა), მარგა (გიო), გულნარა (თამარ), აგრეთვე ზამთარაძის ასულ მართას როლში (ოლიან იმერული კილი ეტყობოდა). და ყაზბეგის როლში აღმსრულებელთა შ. მქედლოშვილი და ე. ჯალიძე, პიესას რეჟისურას ხელი აჩნდა. გრძელი ანტრაქტები ბავშვებს აწუხებდა.


დარბაზი ვაქცილი იყო ბავშვებით, რომელთაც მზურავლუ ტაშის კეით დააჯილდოვეს, როგორც რეჟისორი, აგრეთვე მსახიობნიც.

სეზონის გახსნას დაესწრენ განათლების კომისარიატის, სოციალურ აღზრდის მთავარ სამართველოს, ახალგაზრდა კომკავშირის, ცაკის, და სხ. წარმომადგენლები.

კენი.

**საზოგადოებრივი ცხოვრება**

**ინვალიდთა შორის**



**მალაქია გრიგ. ანულავა**  
მში გახრილთა შრომის არტელ, ახალ წრეის გამგეობის პირველი თავმჯდომარე.  
(15 ოქტომბერს მისი ტრადიციულად დაღუპვის გამო).

დღეს, როდესაც ჩვენი საზოგადოება „ახალი წრე“ უდგება თურწოდ „თეატრი და ცხოვრება“-ს გამოცემას, არ შეგვიძლია დამა სიყვარულით არ მოვივარწოთ ამ საზოგადოების ერთი და მთავარცხელთაგან, ანაწლის 15 ოქტომბერს ტრადიციულად დაღუპული

ამხ. მალაქია ანულავა.

იმ კულტურულ საქმიანობას, რომელსაც ამჟამად ხელს კიდებს „ახალი წრე“, საძირკველი ჩაუყარა ამხ. მალაქიამ, რომლისათვისაც კლუბი „ახალი წრე“ იყო მხოლოდ საშველება—მიზანი კი—კულტურული მოშაობის წარმოება ერთის მხრივ, ხოლო ინვალიდთა უზრუნველყოფა მეორეს მხრივ.

ამ იდეით შეიარაღებული ამხ. მალაქია მუშაობდა გერკ-კიდევ საქართველოს დასახიერებულთა კავშირში, რომლის ერთ ერთ ხელმძღვანელად იყო უკანასკნელ ხანამდე. თვით ინვალიდი ფიზიკურად, რანდი იყო სულიერად ინვალიდების შრომის ყცილიზაცია, მათი გაკულტურონება და საზოგადოებრივ აღმშენებლობაში ჩამბაერთი სიტყვით ინვალიდებში „ინვალიდობის“ მოშაობა—აი რისთვის იბრძოდა და რას ემსახურებოდა განსვენებული. ამ მუშაობის პროცესში მას ბევრი უსიამოვნება შეხდა, მრავალი შეურაცყოფა გადიტანა, მტერი შეიძინა, საგრამ, საქმის სიყვარულით, ფარ ხმლი არ დაუყრია, ბრძოლის ველიდან არ გაქცეულა.

ქემარტილად დიდი დანაწლისა ასეთი აღმინის დაქარგვა ბილე ორი თვე სრულდება, რაც შესწყდა ამ არა ჩვეულებრივი ენერჯის მქონე აღმინის მაჯის-ცემა და უნდა გამოვტყდეთ, რომ უკვე დავეტყო ობოლბა.

მიუხედავად ამისა ჩვენ არ ვიტყობთ მას. მალაქიას შვეკავს აღმინებზე ცრემლებს არ დგრიან. მათ წინაშე მხოლოდ მუხლს იყრიან და ფიცსა სდებენ.

„ახალი წრეც“, მთელი თავისი შემაღვენლობით, ფიცსა სდებს მტკიცედ ინელმძღვანელოს თავის საყვარელი, ყოფილი ხელმძღვანელის მიერ დატოვებულ ანდრძით და გააღრმავ-გააფართოოს მისგანვე საძირკველ ჩაყრილი მუშაობა.

ამხანაგი.



# გივლიოგრაფია

## შ. დალიანი. ტ. I კონსები

სახელმწიფო გამომცემლობა დღა ქალაქი 1928 წ. ფ. 3—50 კ.

გულახდითად უნდა ითქვას, რომ ჩვენი თეატრალური ნაშრომთა ძალიან დაბალია, თასნი ერთხელ თუ გამოვიდოდა ისეთი გამოცემა, რომელსაც თავისი საჭირო სიმძიმე ეკუთვნოდა, ს-მწიფებორბო განმდ ჩაითვლებოდა. ბოლო წლებში თითქმის დაიწყო ამ დიდი ნაჯლის მოსახლეობა მუშაობა. რგებდებოდა სხვა და სხვა მწერალთა რჩეული ნ-წარმოებნი, პიესები და სს. თუ ჩვენი დება ქალაქებისა და სოფლების თეატრებში საქმის კარგად სვლას მრავალი მიზეზი ეწოდებოდა წინ: სცენის მოწყობლობა, უტანისამოსობა და სს ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო მუდამ პიესათა უქონლობაც.

ჩვენს წინ ძვეს შაჯუა და დიან ს პიესათა კრებული. ეს გამოცემა ჩვენი დ მხაბურ, ხელთფანისათვის კარგი საჩუქარია გამოცემა აუტოკრელ და დღეს ამბარებს ს აღმოუჩენს ყოელა იმ თეატრებს, სადაც მუდამ დიდი მოთხოვნათვის იყო ამ პიესათა დადგმის, მაგრამ შოგანა კი შეუძლებელი. ნათლად სსან, რომ მიღებულია ყოელგვარი ზომები წინესს უნაყოლო გამოცემისათვის, ამ კრებულში ნახათ ყოელსათვის კაჯად ცნობილს „გულმინდელს“, „მედიუმში“, „როს ნაღობოდუნე“, „მენი კრიმიე“, „კვარამი“, „გვეგეკორი“, რომელთაც არა ერთხელ

დაუტკბია ჩვენი საზოგადოება. ამ პიესათა შესახებ საქმადგამოცემის მოთქმულია აზრი, რანედ: ბევრს არ გავჩერებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ შაჯუა დადიანმა მოგვცა კუშმარტად ქართული ყაიდის, ქართული სტილის პიესები. შ. დალიანი ღრმად იჭრება თავის გმირთა სულის სიღრმეში.

იტკობს ჩვენი გმირები თვის შთაუბრავს მარადიული ისტოკლის სელი: იგინი მუდამ და ყოელთვის ცოცხალი იქცებიან. მათი დანახვა თუ შეთვისების შედეგ მაყურებელს თუ მკითხველს ნათლად წარმოუდგენს წინის დრო და მდგომარეობა, რომელშიაც უხდებოდა ყოფნა ამა თუ იმ გმირს. ამიტომ ამ პიესებს ისტორიული მნიშვნელობაც ეძლევა. წინეს წინ დაბრული აქვს სურათები აეტორის, იმა მისის ნიკოსი, ფაქსიმილე აეტორის და ნ. კურდღელთაშვილის ნარ-კანის წინასტილობა, „შ ლეა დადიანი“ და შ. დალიანის „ლია კარი“, რომელშიც უფრო ნათლად დაინახათ შ. დალიანის ვინაობა, ბოლოში წინეს დაბრული აქვს აეტო-ის შენიშენები და პატარი სიტყვარი, რაც წინეს სღრმეულებს უფრო უსსსა სტებს.

ეს გამოცემა კარგ შთაბეჭდილებს ს სტოებს. წინეს ჩვენინება გამოცემული და ღ ზაზო შებეული მხატვარ შ. ჩხეიძის მიერ, დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდეზე და შე ცაჟს 894 გვ. ღრის მ შ. და 50 კ კარგი იქნება რომ სეთი კრებულების მ გამოცემა ვახშ რდეს რაც უფო და ღ და და მარტებს აღმოუჩენს ჩვენ თეატრების ღარის ბნობლიოთიქებს.

შ—ლი.

# სელოვნების ქრონის

## ქართული თეატრი

ახალი პიესები: ა) „ხრისხის გველი“, ორიგინალური დრ. ნ მოქ. ძველი საბერძნეთის ცხოვრებიდან აღ. ქუთათელადისა და ბ) „სამანიშვილის დედნაცელო“, დ. კლიდაშვილის მოთხრობიდან გადმ. შ. შარაშიძის მიერ, სავანებეობ დასტება და ამ მოკლე ხანში დაიდგმის რუსთაველის თეატრში. (პირველს დასდგამს კ. მარჯანიშვილი, მეორეს ა. ფაღღავა; გ) ქართლ-იმერეთს დასწერა „შავი ჯგავრი“, სამიღვლეოების ცხოვრებიდან.

„ვეფხისტყაოსნი“-ს გასცენიურებას ამზადებს სახელმ. დრამის დასი. დრამის წარმოდგენა განზრახულია დეკემბ. 19 ს.

რუსთაველის თეატრში. ახლო მომავალში განხლდება ი. გვედევანიშვილის „სინათლე“-ს წარმოდგენა.

მსახიობთა კლუბი იხსნება 17 დეკ. ქიმერიონში, სადაც ორშაბათობით გაიმართება წარმოდგენები უმწვევარ მსახიობთა სასარგებლოთ.

ხავასტროლად ბათომს ვაწვევულთა ნინო ჩხეიძე და მ. ქორელი, ახალსენაკს—შ. დალიანი (დასდგამს „გვეგეკორი“-ს) ტფილისის ბათონიდან მოწვეულია აღ. იმედაშვილი (მაკბერი, ოტელი).

## დაბა-ქალაქი

ქუთაისში ქართ. წარმოდგენების სეზონი დაიწყო, დასის გამგეა მსახ. ი. ზარდალიშვილი, მოწვეულთა შორის არიან დამსახურებულნი მსახიობნი: ე ჩერქეზიშვილი, ვ. გუნია და ვ. გაყურელიძე.

ბათომში ქართული წარმოდგენები სისტემატურად იმართება მსახ. აღ. იმედაშვილის რეჟისორობით.

ხოხუშის ქართულ დრამ. საზ. თაოსნობით შესდგა ღრამ. დასი მსახ. ჟივიძის რეჟისორობით.

მ. დ. სამხ. ცენზ. № 899. სტამბა „ზარიანა ვოსტოკა“-სი, კრუშენშტერნის ქუჩა, № 4. ტირაჟი 2000

ტფილისიდან მიწვეული არიან ხუციშვილი, გუგუშვილი და სხ.

## რუსული თეატრი

რუსული აკადემიური დასი დაარსდა სახალხო სახლთან. მესამე თვეა სეზონი დაიწყო, კვირაში იმართება 2 წარმოდგენა.

მსახიობი ქალი ბაშკინა ჩამოვიდა ტფილისს. გამოვიდა სახალხო სახლში პიესაში „ცენა ჟიზნი“.

## მხატვრობა

ხელოვანთა მთავარ კომიტეტმა გადასწყვიტა, მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რათა ახალგაზრდა მხატვარი ირაკლი თოიძე, რევოლიუციის სურათის აეტორი, საზღვარგარედ გაიგზავნოს უმაღლესი სამხატვრო განათლების მისიღებად.

## მოსიკა

ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელთან დაარსდა სამუსიკო და სიმეზზე დამკველთა კლასები. სასწავლებლის დირექტორად მიწვეულია ილ. აბაშიძე.

ახალი ოპერა ზ. ფალიაშვილისა „დაისი“ წარმოდგენილი იქნება დეკემბრის 19.

## მწერლობა

ახლნურ მწერალ გიგა ხერაშვილს 25 წ. შეუსრულდა, რაც სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს. ამისათვის რ. გ. შ. სტამბის მუშათა, ბეჭდვ. საქმის ე კმირის და მუშკორების თაოსნობით შესდგა კომიტეტი ამ დღის აღსანიშნავად. შესახვერი რუბილეს გამართვა განზრახულია ამ თვის 22 ის. თვის.

რედაქტორი: იოსებ იმედაშვილი.

გამომცემელი: ომში დაჭრილთა

შრომის არტელი ახალი წრე“.

ყველაფერი  
ელექტროფიზიკისთვის  
მოწყობა  
დიდიანი საღებავების  
და  
სინათლის  
აძენება და შეკეთება  
შენობების

თავისუფლების მოედანი № 1.

დასახიჩრებულ

მეოპართა

ტენიკური

სააღმსახოზნადი

„საქლაენადი“

Comptoir general  
technique  
„SATDAMNADI“  
Appareillages  
Electrique,  
Applications  
Electromeqanique,  
Machines  
Electrique.

Place de liberte № 1



# ტფილისის სასოფლო-სამეურნეო სასურთიერ- თო ნლოვის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. დეკემბრის 15-ს, საღ. 7 საათზე საზოგადოების ბინაზე (სასახ-  
ლის ქ. № 6) დანიშნულია საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

## დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება წარსული საანგარიშო წლის შესახებ.
2. საბჭოს მოხსენება.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
5. წესდების შეცვლა.
6. საბჭოს წევრთა არჩევნები.
7. გამგეობის ერთი წევრის არჩევა ნაცვლად გასული წევრის გრლორთქიფანიძესი.
8. მიმდინარე საკითხები.

**შენიშვნა:** თუ პირველი კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლო-  
ბის გამო, მეორე კრება მოხდება დეკემბრის 30-ს დილის 11 საათზე აღნიშნული საკით-  
ხების გადასაწყვეტად და ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ომში დაკრილთა შრომის არტელ „ახალ წამ“-სთან დაარსებული

## საგანმანათლებლო საქსია

# „კულტურა“

ბინათ ისახავს სახელგამის და სხვათა მიერ გამოცემულ წიგნების გავრცელებას ინვალიდთა ორგანი-  
ზაციებში და ხალხის ფართო მასებში. წიგნების საწყობი — „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში  
(დროებითი ბინა — რუსთ. პროსპ. № 10, ეზოში). 1-4

# გვერდში ა. პიკელნი გვერდში

რუსთვ. პროსპ. № 12

# საზონის უკანასკნელ მოდით პარიზის და ლონდონის

ქორნალების მიხედვით სრულდება დაკვეთა მხატვროლის გემოვნებით. იქვე მიიღება ყოველგვარი  
სამუშაო

გენერალუგის ნივთიერება.